საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 51 დეკემბერი 13 1898 წ. № 51

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: სხვა და-სხვა ამბავი.—„კვალის“ კორესპონდენციები.—კვირიდან კვირამდე.—დილა, ლექსი ივ. ჩხატარაი. შვილისა.—ნაფიც მსაჯულთა დაწესებულების შემოღება ი—სა. საიდუმლო ბარათი ჭორანტოსი.—კრიტიკული შენიშვნები ივ. გომართელისა.—ბაქო (გაგრძელება) არიძისა.—„რა ზ ზღით მიცქერის“?!. ეტიუდი შ. არაგვისპირელისა.—წერილი რედაქციის მიმართ.—საქველ-მოქმედო საქმე და განცხადებები

შემდეგი ნომერი გამოვა 25 დეკემბერს, შობა დღეს

იბეჭდება და მალე დაურიგდებათ „ᲯᲔᲯᲘᲚᲘᲡ 1898 წ. ხელის მომწერლებს პრემია „ალბომი ცᲮოველთა ცხოვრებიდან“.

სხვა-და-სხვა ამბავი. *)

ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲕᲐ აქეთ დაარსდეს თფილისის ნოქართა საზოგადოება, რომლის წესდებას ადგილობრივ ეაჭართა კომისია განიხილავს.

—

რამდენიმე თფილელი ეაჭარი „თფილისის-სპარსეთის ბანკის“ დაარსებას აპირებს. ძირის თანხათ ექნება ერთი მილიონი მანეთი.

—

18 ამ თვეს „თფილისის სობრანიის“ დარბაზში გაიმართება კონცერტი წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოთ.

—

თფილისის გამგეობის ორ წევრათ, ნაცვლათ ვერმიშევის და ივანენკოსი, არჩეულ იქმნენ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი და კადეტის კორპუსის მასწავლებელი შესტაკოვი.

—

„ახ. მიმოხ.“ სიტყვით არამდარაში, სილნაღის მაზრაში, ანდრონიკაშვილების მამულში ნავთის ორ შადრევანს ამოუხეთქია. ერთ შადრევანს უკვე შეუწყვეტია მოქმედება, მეორე ისევ ამოდის.

—

მომავალი წლის პირველი იანვრიდან ძალაში შევა თფილისის უძრავ ქონებათა ხელ-ახალი შეფასება, რომლის თანახმათ გაწერილ იქნება საქალაქო გადასახადი. გადასახადთა რაოდენობა უწყებებით ეცნობება სახლის პატრონთ.

—

26 ნოემბერს თელავში მოხდა კახეთის მევენახეთა ამხანაგობის წლიური კრება. კრებაზე წაკითხული ანგარიშიდან ჩანს, რომ გასული წლის პირველი აგვისტოდან ამ წლის პირველ აგვისტომდი „ამხანაგობას“ გაუყიდია 90,983 მან. 25 კაპ. ღვინო. მოგე-

*) ამ ნომრისთვის მომზადებული მოწინავე წერილი ვერ გამოდის... რედ.

კ. მარქსის სახ. ... სახელმ... ბიბლიოთ.

ბა დარჩენია 9473 მან. 86 კაპ. ხოლო ძირითად თავნათ ჰქონებიათ 15,728 მ. 50 კაპ. მაშასადამე მოგება შეადგენს 8% საერთო აღებ-მ-ცემობისას და 66% ძირითად თავნისას.

—

თფილისის პაპიროსის ქარხანას „მირს“ პაპიროსის საკეთებელი მანქანები მოუტანია და ამ ახლო ხანში აამუშავებს კიდეც, მარა რადგანაც ამას შეიძლება მუშა-ხელის შემცირება მოყვეს, ქარხნის პატრონს ახალი პირობა გაუკეთებია ბ წარუდგენია, სადაც ჯერ არს. აი, ამ პირობის მუხლები: 1) ყველა ჩვენი მუშები—მეპაპიროსენი—ჩვენთან დარჩებიან შემდეგშიაც და იმუშავებენ იმავე პირობით, როგორათაც აქამდის მუშაობდენ; 2) თუ რაიმე კომერციული მოსაზრების გამო რომელიმე მუშა დავითხოვეთ, მას მივცემთ ერთი თვის ჯამაგირს საჩუქრათ, ამასთანავე ჯამაგირის რაოდენობა გამოანგარიშებულ იქმნება თანახმათ უკანასკნელი ერთი წლის, გინდ ექვსი თვის დღის ქირისა. 3) თუ თვითონ მუშები არ მოისურვებენ მუშაობას, დათხოვნილ იქმნებიან უსაჩუქროთ. 4) მეპაპიროსები, თუ მოისურვებენ, გადაყვანილ იქმნებიან მაშინაზე სამუშაოთ და დაენიშნებათ ჯამაგირი, რომლის რაოდენობა უკანასკნელი ერთი წლის, გინდ ექვსი თვის საშუალო დღის ქირის თანახმათ იქნება გამოანგარიშებული. თუ რომელიმე მათგანი, შემდეგ მაშინის ხმარების შესწავლისა, აღარ მოისურვებს მაშინაზე მუშაობას, დათხოვნილ იქმნება ფაბრიკიდან უსაჩუქროთ. სამუშაო დღის სიგძე არ გადაცდება კანონით დადებულ სამუშაო დღეს, ხოლო ნაკლები სამუშაო დღე შეიძლება შემოღებულ იქმნასო.

—

ეს ორი კვირაა თფილისში გადასახადთა ინსპექტორების კრებაა. კრების საგანია, გამოარკვიოს თუ რანაირათ იქმნას მოყვანილი სისრულეში ახალი გადასახადი, წოდებული „промисловой налогъ“—წარმოების გადასახადი, რაიცა მდგომარეობს იმაში, რომ გადასახადი გაიწერება თანახმათ წარმოების რაოდენობისა და შემოსავლისა. ეს ასე ვთქვათ ერთი ბიჯია გადასახადის შემოსავლის დაკვალათ შემოღებისაკენ. ამ ახალი კანონით გადასახადისაგან განთავისუფლებულია: 1) სასულიერო წოდების სტამბები, წიგნის მაღაზიები და სანთლის ზავოდები, 2) საშინაო ხელ-საქმე, თუ კი მას მხოლოთ ოჯახი ეწევა, ან და ერთი კაცის მეტი არა ყავს დაქირავებული. რა ნაირათ უნდა გაიწეროს ეს ახალი გადასახადი სოფლელებზე? ამის შესახებ კრებამ შემდეგი დაადგინა: გამოანგარიშებულ იქმნას თვითოეული სოფლის გლეხთა ყოველნაირი საერთო შემოსავალი და შემდეგ ერთი მაზრის სოფელთა მთელი ჯამი უნდა გაიყოს იმ გადასახადზე, რომელიც ამ მაზრიდან უნდა იქმნას აკრეფილი და მით გაიგება, ეს მანეთ შემოსავალს რა გადასახადი ერგება. შემდეგ ეს პროცენტი გაიმრავლება სოფლის საერთო შემოსავალზე და მივიღებთ ამ სოფლის საერთო გადასახადს, რაიცა თავის მხრივ გაიყოფება სოფლის კომლთა რაოდენობაზე და მივიღებთ თვითოეული კომლის სამუალო გადასახადს. რაც შეეხება კერძო მემამულეთა გადასახადებს, ამის შესახებ დაადგინეს, რომ გაგებულ იქმნას თვითოეულის მამულის რაოდენობა და ეს სარგებლობის დაკვალათ დანაწილებული. თუ კი უძრავი ქონება იჯარით არის გაცემული, გადასახადს იხდის ქონების პატრონი და არა მოიჯარადრე, თუ კი ამის შესახებ მათ შორის დადებულ ხელ-შეკრულობაში არა არისრა თქმული. ხოლო თუ იჯარა გაცემულია უვადოთ, გადასახადს მოიჯარადრე იხდის.

—

დღეს, კვირას, ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება „რევიზორი“ გოგოლისა. მონაწილეობას მიიღებს მთელი ტრუპა. ხუთშაბათს 17 ამ თვეს დანიშნულია ცნობილი არტისტის ვ. აბაშიძის ბენეფისი.

„კვალის“ კორესპონდენციები.

ბ. ბათომი. რამდენათაც ეს ჩვენი ბათომი იზრდება, ფართოვდება და ეკონომიურათ ვითარდება, იმოდენათ ცხოვრების წყაროები ძვირდება და ცხოვრების მასალის შეძენა, როგორიც არის ოთახი, სასმელი, საჭმელი, ტანისამოსი, შეშა და სხვა, ძნელი ხდება. ძნელი ხდება არა იმ მცხოვრებლებისათვის, ვისაც ბედმა არგუნა ბათომში სახლების, ადგილების და საეკლესიოების მოპოება, არამედ იმათვის, ვისაც ცხოვრების სახსოვრათ თავისი მარჯვენის მეტი არაფერი აბადია, რომლებიც ულმობელმა ცხოვრების კითხვებმა, ვინ იცის, საიდან გადმოყარა ლუკმა პურის საძებნელათ. დიახ, ამ უკანასკნელთა მდგომარეობა მინდა გავაცნო მკითხველ საზოგადოებას, გავაცნო მდგომარეობა იმ ხალხისა, რომელსაც ათას გვარ მოთხოვნილებამ მიატოვებინა დედ-მამა, ცოლ-შვილი, ტოლი და ამხანაგი და აქ, ჩვენს ბათომში, მექარხნეს წინ თავი ამოაყოფინა. ეს უკანასკნელი გახლავთ ბათომის მუშები, რომელთა მდგომარეობა დღითი დღე ეცემა და მ-წასთან სწორდება, როგორც ქონებრივათ, ისე გონება-ზნეობრივათაც შეუხედავთ იმისა რომ ზამთარი დადგა და ყველა თბილ

ბინას, თბილ ტანისამოს ეძებს, ამ უკანასკნელებს ფიქრიც არ შეუქლიათ საზამთრო სადგომზე, თბილ ტანისამოსზე; მათვის ზამთარშიც და ზაფხულშიც ერთნაირი არსებობს ტანისამოსიც, სადგომიც და საწოლიც. ძალიან იშვიათია აქ ისეთი მუშა, რომ მას ქონდეს რიგიანი ტანისამოსი, სადგომი სახლი, ლოგინი და სხვა აუცილებელი საჭირო ნივთები, მაგალითათ საცვალი სარეცხი, პირსაბანი ტაშტი, დოქი, პირსახოცი, სავარცხელი, სკამი, მაგიდა და სხვა, ურომლისოთ დღეს, მგონია, ველურებიც არ ცხოვრობენ აფრიკაში.

რამდენათაც ცხოვრება ძვირდება და საცხოვრებელი მასალის ფასი მაღლდება, იმდენათ მუშის მდგომარეობა ძირს ეშვება, იმდენათ მას თავიანთი ვალდებულება ავიწყდება, იმდენათ მისი და მისი ძალზე შეავიწროებული ოჯახის ადამიანური ღირსება ფეხ-ქვეშ ითელება და ილახება, იმდენათ იგი ცხოვრების უკან რჩება და ადამიანურ გრძნობებზე მოკლებული ხდება. რა არის ამის მიზეზი?.. ამის მიზეზი ბევრი ახლავს, მაგრამ მათშორის უპირველესი ადგილი უჭ რავს: დიდ შრომას, ქირის სიმცირეს, უბიბლიოთეკობას და სხვ. წინეთ აქ მუშა ქარხნებში $9^1/_2$ საათზე მეტს არ მუშაობდა, დღეს კი $10^1/_2 — 11 — 11^1/_2$ საათსაც მუშაობს; წინეთ მუშა 160 — 220 კ. ღებულობდა დღეში, დღეს-კი 70—80 კ. აღებაც უძნელდება. ვერ ღებულობს მისთვის, რომ ამ ბოლო დროს ძალიან დაუხშირეს ნახევარ დღეობით მუშაობა, რაც ძალიანი ხეირია მექარხნესათვის. და აი რატომ: მუშა დილიდან მეტს გააკეთებს შუადღემდი, ვინემ შუადღიდან საღამომდის: დილას მუშის ორგანიზმი მოსვენებულია და ის დილიდან შუადღემდი მთელი დღის ორ მესამდს გააკეთებს, რისთვისაც ის მხოლოთ ნახევარი დღის სასყიდელს იღებს. აქ მუშა ვაჟ-კაცი კვირეში $70^1/_2$ საათი მუშაობს და ძღიეს 420 და 580 კ. იღებს ისიც თუ მთელი დღეები იმუშავა და, თუ ნახევარ დღებს მუშაობს, მაშინ მიიღებს 30 საათში 210 — 290 კ. ამ ფულმა უნდა უქირაოს მას ოთახი, უნდა უყიდოს სასმელი, საჭმელი, ტანისამოსი და სხვა საჭირო ნივთები. მუშამ ამ 2 მ. და ორი შაურით სათ წავიდეს, რა იყიდოს მისთანა, რომ მან ავადარისაგან თავი შეაფაროს სახურაეს ქვეშ, სიცივისაგან ტანი შეიმოსოს და შიმშილ წყურვილისაგან კუჭი დაიყმაყოფილოს? როგორი საშვალება უნდა მიიღოს მუშამ ამ 2 მ. 10 კ., რომ მან კაცურათ იცხოვროს?!

მუშისთვის აქ არ არსებობს არც ერთი იმისთანა გასართობი ალაგი, როგორიცაა სასეირნო ბაღი, რომ იქ შეეძლოთ თავისუფლათ, დაუშლელათ მისვლა და ბედნიერ მოსეირნეთათვის თვალის გადაევლებინა, და ღრდოებით მაინც დაივიწყოს თავის ჭირ-ვარამზე ფიქრი და გაერთოს; არ არსებობს სამკითხველო, სადგანაც მათ შეეძლოთ წიგნების წაღება და თავისუფალი დროს იკითხონ, რაც მათთვის დიდი დახმარება იქნებოდა, როგორც გასართობათ, ისე გონება-ზნეობის გასაკეთებლათ; არ არსებობს აგრეთვე უფასო თეატრი, რაც დღეს თითქმის ყოველ ქალაქშია. ამ ნაირათ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დღეს აქ მუშების მდგომარეობა უკიდურეს ზომამდია მისული. ისინი მოკლებულია ყოველივე იმას, რითაც დღეს უკანჩამორჩენილა კაცობრიობა წინ მიდის და თანამედროვე ევროპის ცხოვრებას უახლოვდება. მხოლოთ ამ უკანასკნელებისათვის ევროპა ჯერ ზღაპრული ქვეყანა, რომლელზედაც წარმოდგენაც კი უჭირთ, არამც თუ მის ნაკვალევს მიზდიოს და მის ცხოვრებას დაეწიოს.

არ შემიძლია აქვე არ შეენიშნო ერთი მიუტოვებელი ცოდვა, სხვა ცოდვებთა შორის, რომელსაც ჩადის როტშილდის ქარხნის გამგე: კვირაში ორჯერ და ხან სამჯერ—ისიც საქმე დღეს—გამოუშვებს ფეხის ადგილის უწმინდურობას მილით ზღვაში, სადაც მას სამი პრისტანი აქვს გაკეთებული ბარჟების და ვაგონების მისაყენებლათ, რომლებსაც მუშები სკივრებით ტვირთავენ და ცლიან. გამოუშვებს სწორეთ საათის რვაზე ან ცხრაზე, როცა თითოეულ ამ პრისტანზე ოც-და-ხუთი კაცი მაინც მუშაობს და მისი მუშების გარდა ბ. სკარჟინსკის მუშები კიდევ იქვე ახლო ახალ ნავთ სადგომს აკეთებს. მუშები თუმცა-ღა ბევრს ეხვეწებიან ნოქრებს, რომლებსაც მათზე არა ნაკლებათ აწუხებს ეს არა სასიამო „არომატი", რომ მათ შუამდგომლობა გაუწიონ იმასთან ვისიც განკარგულებითაც კეთდება ეს სისაძაგლე და ამ გასაჭირს ააცილონ. მაგრამ ნოქრები ვერ ბედავენ შუამდგომლობას, რადგანაც კარგათ იციან, რომ იმ ვაჟ-ბატონთან მისვლა, როგორც არის ხერხის „მეხანიკი", უსიამოვნების მეტს მათ არაფერს არ გაუკეთებს. და პირ-იქით, რაც ადვილათ საფიქრებელია და, როგორც დაჩვეულია ბ-ნი „მეხანიკი", მათ პანღურის ცემით და „სეოლოჩის" ძახილით გამოისტუმრებს.

აქიდან მკითხველი საზოგადოებისათვის ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი ჰიგიენა იქნება სხვა ქარხნებში დაცული, რომლებზედაც არაფერს არ ვლაპარაკობ, რადგანაც როტშილდის ქარხანა აქ სასუფთაეის მაგალითათ ითვლება, როგორც პოლიციელების, ისე სანიტარების თვალში.

დასკვნა.

—

დ. ხიდისთავი (ᲒᲣᲠᲘᲐ). ჩვენი დაბა არ ხუმრობს, აქაც ბევრი რამ ამბები ხდება. ერთ ასეთ თვალსაჩინო ამბავს გასულ თვეში მოიმხდარი კრებები და მათი განაჩენები, აქაურ ბიბლიოთეკის საქმის შესახება, წარმოადგენს. მოგეხსენებათ ჩვენ დაბაში წიგნთსაცავი არსებობს სამკითხველოთი, წიგნთსაცავი ისე კი არა, როგორც ზოგიერთგან იცან: აიღებენ ნებართვას, ააგებენ შენობას, დააწყობენ შიგ რამდენსამე ცალ წიგნს და მერე დაკეტილია სანახევროთ, როგორც მაგალითებრ ასკანაში. აქ, ხიდისთავში, ხალხს წიგნთსაცავი თუ სულიერ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ დაუარსებია და მიუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია, სამაგიეროთ იქ ასკანაში, სამოოთხი ინტელიგენტისთვისაა დაარსებული; აქ ხალხი თვითონ თხოულობს სამკითხველოს, ხოლო იქ ძალით აწედიან. ამიტომაც არის, რომ აქაურ სამკითხველოს, მიუხედავათ მისი სიღარიბისა, ბუზ-ვით ეტანებიან მკითხველები, ხოლო იქაურ ბევრათ უფრო მდიდარს და მორთულ-მოკაზმულ სამკითხველოში მოსიარულეს შეადგენს მარტო მწერალ-მასწავლელობა, მდაბიო ხალხს კი წიგნთსაცავი სამკითხველო არაფრათ ეპიტნაევება. ჩემის აზრით ამის ერთ უმთავრეს მიზეზათ აუცილებლათ უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ხიდისთავი, როგორც აღებ-მიცემობით და სიმდიდრით, აგრეთვე განათლებით გაცილებით მაღლა დგას დღეს ასკანაზე. დიაღ, აქ ხალხის საკუთარი სურვილით დაარსდა წიგნთსაცავი, მარა ვაი ასეთ დაარსებას, ბევრი ვაი-ვაგლახი გამოიარა ამ საცოდავმა და მერე ვისგან? ვისგან და სულ გამგე ბატონებისაგან. ერთი იყო და იმის დროს წინა-უკანა კარიდან ვის რა წიგნები გაჰქონდა, ამის ანგარიში არ იყო და მას შემდეგ მეორეც ისეთივე გულშემატკივარი გამოდგა, როგორც პირველი იმ გარჩევით, რომ ამან საკუთარი ჯიბეც არ დაიეწყა. საკვირველია ღმერთმანი, თითქოს ამ ვაჟბატონის სახრავათ ყოფილიყოს აქ ბიბლიოთეკა დაარსებული! მერე და ნუ თუ ამდენ მკითხველებში და ასეთ შეგნებულ ხალხში ვერავინ ვერ ამჩნევს ამგვარ უწესრიგობას? ვერ ამჩნევს კი არა და ხიდისთავისთანა გაგებული და მასთან „კუჭიანი“ დაბა სულ არ მოიძებნება ჩვენ გურიაში და მოგეხსენებათ კუჭიანმა თუ რამე დანაშაულობა შენიშნა კაცს, იმ წამსვე „ყურშუმიეით“ ყველაფერს პირში მიახლის; ხანდისხან ამასაც არ დაჯერდება, აი, მაგალითათ, როგორც ამ კვირაში ცემეს ერთ საცოდავ გლეხს შუა ბაზარში, როგორ თუ შენ სოფლელი გვემუშტრები შეშის ყიდვაში ჩვენ დაბელებსაო. მარა თითოოროლა მკლავაძის ტოლი კაცი საზოგადოებას არ შეადგენს და ჩვენ დაბასაც ამგვარი კაცები დღითი დღე აკლდება. აქაურნი უფრო სამკითხველოში დადიან და იქ „მეტ სინათლეს“ ეძებენ. მარა დაბეჭდილ არიან ამ სინათლის მოტრფიალენი: ვაჭარი, მჭედელი, ხარაზი, მეფურნე და სხ., ერთი სიტყვით, ზოგი ჩვენი ინტელიგენტების თქმისა არ იყოს, სულ ის „შავი ხალხი“, ვინ გაუჩნდათ ამ სინათლის მოტრფიალეთ მტრებათ? ვინ და ერთი გახლდათ გამგე სამკითხველოსი და მეორე მისი დამქაში ვექილი, შემთხვევით თავმჯდომარეთ არჩეული კრებ-ს მიერ. პირველი ამტკიცებდა—მე ოთხი წლით ვარ გამგეთ არჩეული და თქვენ ერთ წელს შემდეგ რა უფლება გაქვთ გამომცვალოთო, ეს წესდების არც ერთ მუხლში არ გვიწერიაო; ჯერ კ-დევ სამი წელიწადი დამრჩენია თქვენ ზურგზე ვიაროვო. ხოლო მეორემ ისარგებლა თავმჯდომარეობ-თ ჯიბარ:მე, ვითარცა თავმჯდომარე ამ კრებისა, ნებას არ ვაძლევ არავის გამგის შესახებ დაძრას ხმაო; გამგის გამოცვლა და მისი ავკარგიანობის დაფასება რა წევრების საქმეა, ეს ვისიც სახელზეა წიგნთსაცავი დაარსებული, მარტო იმას უნდა ეკითხებოდესო მერე რა კი შეხედა, რომ საზოგადოება არ უჯერებს მას და ყუთებს დგამს ახალი გამგის ასარჩევათ, იფიქრა—ამით მაინც ვასიამოვნებ ჩემ ამხანაგსაო და მთელ ამ დროს სულ „სუდებნიმ პორიადკომ.... პრიტიანუ“ო... გაჰყვიროდა, მარა ხიდისთავი რის ხიდისთავია, თუ ამისთანა შემთხვევაში არ გამოიჩინა თავისი ძლიერება, მან თავისი ოპოზიციით მაინც მიაღწია სასურველ მიზანს. სამკითხველოს დღეს ახალი გამგე—კომიტეტი ჰყავს, რომელიც ახლავე ერთგულებას იჩენს თავის მოქმედებაში და შრომასაც თანაბრათ ინაწილებს.

ტუბიდაძე.

კვირიდან კვირამდე

ერთი უსმო საზოგადოება—მიბრბის მობრბის გაბრიელი..—დრონი მეფობენ.. — embarras de richesse — ოდეს გამოდვნებული ჯობს—გაბწყლარი უმდურებს.

ᲓᲐᲮᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ დაწესებულება ყოფილა ეს ჩვენი თეილისის სამეურნეო საზოგადოება! ის თურმე საზელათ არსებულა, საქმეს კი არავინ ჰკითხავს, რასაკვირველია გარდა ბადრიჯანის წნილათ ჩადებისა და პანტა-ვაშლის მურაბათ გაკეთებისა. ამაებზე მოგეცათ სიცოცხლე, ძალიან ბევრს ლაპარაკობდენ და ერთმანერთს სულ „ბღლეერს“ ადენდენ. მარა როგორც კი, თუმცა ძალიან იშვიათათ, ცოცხალ სა-

ქმეზე დაიწყებენ ბაასს, მაშინვე „ჩოქში, ჩოქშიო“ შემოუყვირებენ და ისინიც სულ-განაბულნი კუთხეებში მოიჯანტე მიიჯანტვიან და თაედახრილნი მოკრძალებით გამოიყურებიან, გვაპატიეთო. და მერე ვინ არის ეს მპატიებელი? ვინ და „საზოგადოების“ საბჭო! ამ საარაკო საბჭოს ის უფლება ჰქონია, რომ გინდ მოიწვევს კრებას, გინდ არა, გინდ გააგებიებს საქმეს და გინდ დაუმალავს, გინდ ალაპარაკებს, გინდ დაამუნჯებს — ერთი სიტყვით „საზოგადოება“ მის მიერ არჩეულ საბჭოში გამქრალა, გადასახლებულა და იქ თავის თავი უარუყვია, ამიერიდან მე აღარ ვარსებობო.

* * *

და რაკი ეს ასეა, რაკი „საზოგადოება“ მეტი ბარგია, ცხადია მისი კრებაც სულ მეტი და ძალათ გამოგონილი უნდა იყოს. და, აი, სწორეთ ამიტომ არის, რომ ამ უკანასკნელ შვიდ თვეში მხოლოთ ერთხელ მოახდინეს კრება და ესეც შემდეგ დიდ დავიდარაბისა და მითქმა-მოთქმისა .....

* * *

თუ ვინმეა მადლიერი ისევ კახეთის მევენახეთა ამხანაგობა უნდა იყოს კახელებს, ასე გაშინჯეთ, მარტო „ღვინო კახურო“ კი არა, ამ „ღვინო კახურის“ განაღდებაც ცოდნიათ. დიახ, ამ დალახერულ დროს კახელი თავადებიც ჩაუთრევია და ვაჭრობა უსწავლებია. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც იგივე თავადები თავ-თავის კუთხეში მეფობდენ და თვით ერეკლესაც კი ეჯიბრებოდენ. ახლა? ახლა ღვინის სარდაფებში გაპნეულან და პროცენტების ანგარიშს შესდგომიან, ასე არის, დრონი მეფობენ და არა მეფენიო ნათქვამია. წინეთ თუ ცალ-ცალკე იბრძოდენ და ერთმანეთს არბევდენ, ახლა შეერთებულან და ვაჭრობის ასპარეზზე ამხანაგურათ გამოსულან. ამ ამხანაგთაც გამგეობა ჰყავს, რასაკვირველია. გამგეობას უმუშავია და წელს საზოგადო კრებას თავისი მუშაობის ანგარიში წარუდგინა, აი, რამდენი მოვიგეთ მოკლე დროშიო. მარა ამ სამსახურისთვის ერთი ახირებული ჯილდო მიანიჭეს მას. თავმჯდომარემ განაცხადა: მე ესპრ გამგეობის მოქმედების შესახებ კამათსო! რატომ, რისთვის? ესეც ხომ თუილისის სამეურნეო საზოგადოების გამგეობა არ არის, რომ მისი შეხება არ შეიძლებოდეს? არა, ეს რალაც გამგეობაა ყოველგან ტყუპათ დაბადებულა, ყოველგან წმიდათა-წმიდათ გადაქცეულა... და თუ ამით იხელმძღვანელა კახეთის ამხანაგობამაც, ვეჭვობთ, რომ მერმისშიაც ფული მოიგოს.

* * *

მარა ეს ფულის საქმე მაინც ერთი ხათაბალაა, არ გაქვს და სულ ტირი, რატომ არ მაქვსო, გაქვს და ესეც სატირალი ყოფილა, რა ვუყოთო! აი, ბევრ ცნობილია, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა ფულისაგან, ამ „ჯელის ჭუჭყისაგან“, თავისუფალია, და თუ ის ხანდახან უცაბედათ, თუნდაც მამულის დაგირავებით, ხელში ჩაუვარდა, ერთ წუთსაც ვერ მოაცდევინებს თავისთან, ათასნაირ ხერელებში ჩააგორ-ჩააკოტრიალებს და დადის მერე ისევ ძველებურათ, ჩვენებურათ. ეს რომ ასეა ყველამ იცის, მარა წარმოიდგინეთ, რომ იმავე ფულის მტერ წოდებას დღეს ისეთნაირი ფული მოევლინა, რომ აღარ იცის, რა ჰქნას, „წრუპი“ უქნას არ ეყოფა, „ულუპი“ კი ბევრი მოუვა და არის ასე გაჭირებაში ჩავარდნილი. მას ეპატიჟებიან მოგზრძანდით, თქვენ-თქვენი წილი გაიტანეთ თფილისის და ქუთაისის ბანკებიდანო, მარა ჯერ ძალიან ყოყმანშია, აღება ადვილია, მოხმარება კი ძნელიაო. რავუყოთ ფულს! — ეკითხება ის ცას და ქვეყანას და ჯერ ვერაფერი ვერ გადაუწყვეტია. აი, ეს არის embarras de richesse — გაჭირვება სიმდიდრისაგან — როგორც ფრანგები იტყვიან.

* * *

ერთნაირ გაჭირებაში ბ. ივანოვიჩი ჩავარდნილა. გეცოდინებათ ვინ არის ბ. ივანოვიჩი, ის მწერალია, წერს, წერს, ერთობ ბევრსაც წერს. მისი მიზანია, რაც შეიძლება ბევრი დაწეროს და ამ მხრით დიახაც შესანიშნავია, უბრალო ამბიდანაც კი ვეებერთელა ფელეტონს გამოიყვანს, ხოლო დიდ ამბავს პატარა „კალეიდესკოპშიაც“ კი მოათავსებს. და, აი, ამას წინეთ ერთ არშინიან ფელეტონში ერთი აწია ამბავი გალესა, ამბავი სრულიად კერძო და უმნიშვნელო. მას ერთი ვიღაც ნაცნობი ჰყოლია. ამ ნაცნობს ძალიან ყვარებია ლუარსაბიეთ ტახტზე გორვა და ბუზების თვლა. აი, ეს არის ბ. ივანოვიჩის დიდათ საინტერესო ამბავი. მოსალოდნელი იყო ამით გათავდებოდა ფელეტონი, მარა არა, მწერალი რა მწერალია, თუ ის ამდენ სიტყვათა მორევში ერთ კოვზ აზრსაც არ ჩაურევს. და ბ. ივანოვიჩმაც გამონახა თავისი აზრი: აი, ეს ტახტზე მგორავი ნაცნობი მარქსის მიმდევარიაო, ლუარსაბ თათქარიძე მარქსისტი იყოო! ვინც კი ამას წაიკითხავდა, უეჭველია შეიბრალებდა ბ. ივანოვიჩს და იტყოდა: შეუნდე უფალო, ვინაიდან არა იცის, რასა იქმსო. მარა ჩქარა, ბ. ივანოვიჩს თავის თავი შებრალებია, წამოსროლილ სიტყვას შეუწუხებია და ცოდვის მოსანანებლათ, აგერ მოგვიანებით, ისევ გამოსულა „ახ. მიმოხ.“ ფურცლებზე და ბოდიშს იხდის, იმის თქმა სრულებით არ მინდოდა, რაცა ვთქვიო! ესეც კარგია, ცოდვა ისევ გამქლავნებული ჯობს...

* * *

დიდათ შეწუხებულა ბ. ი. ფანცხავაც. ის იყო,

„ჩიორა“ გაჩუმდა, რომ მისი სალაყბო ბ. ფანცხავამ დაიჭირა და თავისი დაქანგული კალმით „ივერიის“ ფურცლები ააჭრელა. მარა მას სულ სხვა სატკივარი აქვს. ერთხელ თურმე რაღაც დაუწერია, ყურადღება აღარაფის მიუქცევია და დავიწყებულა. და, აი, ამ უყურადღებობას შეუშფოთებია ავტორი, ის გამწყრალა, გაწიწმატებულა და ახლა დიდი რიხით თავზე დაგვჩხავის: როგორ თუ არ იცანით ჩემი მეცნიერება და პასუხის ღირსი არ გამხადეთო! საბრალო ფანცხავა! დიახაც რომ შებრალების ღირსია! და კიდევაც შევიბრალებდით, რომ ამით გაეთავებია და აღმა-დაღმა ფარცხვა არ დაწყო. და მერე იცით, რას ფარცხავს? რას და მე ბრძოლის ველზე ვარ, მე ვლაპარაკობ, თქვენ კი სადღაც დაიმალეთო! მოდით და ახლა მაინც ნუ იწამებთ ბ. ფანცხავას ბუმბერაზობას! ჩვენ, სინათლეში მომქმედი, თურმე დამალული ვართ, ხოლო სიბნელეში მოჩხირკედელე, ბ. ფანცხავა, კი გამოჩენილია! ეს ძალიან გვაგონებს იმ მელას, რომელიც მახეში გაება და თავი მოიმძინარა, სიზმარი იქნებაო. ბ. ფანცხავაც მომძინარებულა, სინამდვილე სიზრმათ გამოაქვს, სიზმარი სინამდვილეთ. ეს ბოლოს კიდევაც უკრძენია და გვპირდება, მოიცათ, როცა იქნება გამოვიღვიძებ და მაშინ ნახავთ თქვენ სეირსო. ასეთი ფახი-ფუხით იმუქრება იმ იმედით, რომ „ვინც შემხედავს, ასე იტყვის, მარჯვეა და გულადიო!“ საზოგადოთ, უძლურთა წესია, ყველაფერი უთუოთ ტრაბახობით დაიწყოს და ტრაბახობითვე გაათავოს. კრილოვის ჭინჭრაქაც ტრაბახობდა, ამას ეიზამ, იმას ეიზამო,

„მაგრამ სად არის? გაფრინდა
ტრაბახა გამტყუნებული,
და ყველა მაყურებელი
დარჩა იქ პირდაღებული“.

დ ი ლ ა.

ᲖᲔᲛ ᲔᲚᲕᲐᲠᲔ ᲝᲥᲠᲝᲡ
ᲤᲝᲗᲔᲑᲘ
ᲒᲐᲓᲐᲨᲚᲐ ᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲑᲐ-
ᲠᲐᲗ,
ᲔᲠᲡ ᲛᲝᲭᲘᲜᲐ ᲛᲐᲦᲚᲘ
ᲦᲕᲝᲜᲘᲡ,
ᲒᲣᲚᲘᲡ ᲭᲛᲣᲜᲐ ᲒᲐᲭᲥ-
ᲠᲐ ᲥᲐᲠᲗ.

—

ᲒᲐᲛᲝᲪᲣᲠᲓᲐ ᲡᲘᲝ ᲕᲔᲚ-
ᲨᲘ,
ᲕᲐᲠᲓᲖᲔ ᲨᲣᲡᲕᲐ ᲓᲘᲓᲘᲡ
ᲪᲕᲠᲘ

და ბულბულმაც ასთრთოლა
სიტკბოებით სავსე ქნარი.

—

მოჩსრიალე ვერცხლის წყაროს
ეამბორა ნაზი ჩიტი,
ტალღამაც სჩქეფა და მზის შუქზე
მიანთქვა შარგალიტი.

—

თრთა შემასხა მეც ოცნებამ,
ცის ბინდ-ბუნდში შემაფრინა,
ვარსკვლავთ გვირგვინ ქვეშე ოქროთ
ნაქედ ტასტაკე მომცა ბინა.

—

ხორცშესხმული თვით სიმრთელეც
ამოვარდა ლაჟვარდ ცაზე,
ადგილი რომ ვერ ეპოვნა
ამ ჩვენ ცოდვილ ქვეყანაზე.

—

ღვთიურ სხივით, ცის სიწმინდით
უბრწყინავდა სახე მკერდი;
ეფიქრებდა, ეღონებდა
ცხოვრება და სიკეთის ბედი.

—

დაცქერიდა სოფელს, მწარეთ
უკვნესოდა სევდით გული, —
ტირიდა, რომ ვერ მოჰფინა
ცოდვილ ქვეყანათ სიყვარული.

—

მზის სხივებზე ნაფრქვევ ცრემლებს
უგზავნიდა მიწას ზეცა;
შეკრთა ერი, ტანჯულთ გმინვა
კარს მთა და ბარს გადაეცა...

ივ. ჩხატარაიშვილი.

ნაფიც მსაჯულთა დაწესებულების შემოღება.

ᲙᲐᲖᲔᲗ „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ“ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲓᲔᲞᲔᲨᲐᲛ ᲒᲕᲐᲪᲜᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ (ᲡᲐᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ) ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ ᲐᲦᲘᲫᲠᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ, ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲜᲐᲤᲘᲪᲘ ᲛᲡᲐᲯᲣᲚᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲐᲓᲒᲘᲜᲝᲗᲝ. ᲛᲮᲣᲠᲔᲕᲐᲦᲔ ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗ ᲔᲕᲔᲒᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲛ ᲐᲛᲑᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲕᲐᲚᲐᲗ ᲕᲠᲐᲪᲮᲗ ᲩᲕᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ, ᲒᲐᲜᲔᲛᲐᲠᲢᲝᲗ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲐᲡᲔ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲣᲚᲝ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ—ᲔᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ, ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ, ᲢᲐᲜᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲣᲐᲒᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲩᲘᲡᲐ ᲓᲐᲣᲐᲮᲚᲝᲔᲗ ᲒᲐᲜᲐᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ. ᲜᲐᲤᲘᲪ ᲛᲡᲐᲯᲣᲚᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ ᲦᲠᲛᲐᲗ ᲒᲐᲠᲓᲒᲐ ᲤᲔᲡᲘᲕᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ. ᲓᲐᲔ, ᲐᲛ ᲓᲐᲬᲔ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებულებამ კიდეე უფრო მკვიდრათ დაგვაახლოოს რუსეთთან. ჭეშმარიტი მართლმსაჯულება მაშინ არის, როცა სამართლის წარმატებაზე პირად გაელენას ადგილი აღარ ექნება. ამისთანა თვისებით უფრო შემკულია ნაფიცი მოსამართლეობა, ვიდრე მთავრობის სამართალი. სამ კაცზე უფრო ადვილათ შეიძლება პირადი გაელენის მოხდენა, ვიდრე თორმეტ კაცზე. ამას გარდა ეს სამი პირი წინდაწინვე არიან მოსამართლეთ ცნობილნი და ბრძანდებიან უმაღლეს იერარხიულ ხარისხზე აყვანილნი, მაშინ როდესაც ნაფიცი მსაჯულები წილის ყრით უნდა ამოირჩენ და თავისუფალი საქმის კაცები არიან.

მეცნიერებამ და კანონმდებელმა დიდი ხანია უკუაგდეს აგრეთ წოდებული ფორმალური თეორია დამტკიცებათა (формальная теорія доказательствъ).

საზოგადოთ ცნობილია, რომ თვით ზედმიწევნითს გამოძიებას მხოლოთ რამდენიმეთ შეუძლია მიაკვლიოს ჭეშმარიტებას. ძალიან ადვილათ შესაძლებელია ამ შემთხვევაში მტყუანი გამართლდეს და მართალი გამტყუნდეს. უფრო ბეჯითი გამოძიებისთვის საჭიროა თავისუფალი განსჯა და განხილვა ბრალსადებ საბუთებისა. ამ უკანასკნელმა ნელ-ნელა გამოაძევა ევროპის კანონმდებლობიდან ფორმალური თეორია. კანონი ითხოვს, რომ მოსამართლე არ იყოს განსჯისათვის რამე ნაირათ წინ-და-წინ შემზადებული, მან უნდა განიხილოს ყოველი წერილმანი გარემოება და ისე აწონ-დაწონოს თავის განსასჯელი საქმე, შეისწავლოს იგი დაწვრილებით, გულდაჯერებით და შემდეგ წარმოთქვას: „დიაღ, დამნაშავეა“ ანუ „არ არის დამნაშავე“. ჩვენის აზრით მსაჯულათ მოწოდებული კაცი უნდა იყოს ახალი, გულ უბრყვილო, საქმის უცხო ვინმე, რომელსაც ერთხელ, ან ორჯელ მეტათ არ შეხვედროდეს ცხოვრებაში მოსამართლეობა და შეეძლოს მთელი თავისი სულიერი ძალით ჩაუღრმავდეს საქმის გარემოებას, ისარგებლოს მრავალნაირი გამოცდილებით, რომელიც მას შეხვედრია ცხოვრებაში. ხელობით მოსამართლე თუნდ რომ ის ძალიან კეთილშობილი და მაღალი აზრებისაც იყოს, მუდამ კაცის მწუხარების და ბოროტების გამხილველი, მალე ცვდება გრძნობით, მოსაზრებით, თანაგრძნობა ეკარგება და რამდენათაც უფრო მეშაობს მისი გონება, იმდენათ უფრო მალე მოიკის ერთნაირ წესს და იმ წესისამებრ დაუწყებს ყოველ დამნაშავეს განსჯას, ესე იგი წინაალმდეგ მართლმსაჯულებისა და თავის სურვილისა შეიმუშავებს „ფორმალურს თეორიას დამტკიცებისას“; ის დაიწყებს თანახმათ მისა განსჯას, რაც უკვე კანონისაგან უარყოფილია. კანონი ხომ საუკუნოებით არის შემუშავებული, მაშინ როდესაც მსაჯულის მიერ შედგენილი ამ შემთხვევისთვის წესი არის ნაყოფი მარტოოდენ ერთი პირისა. მხოლოთ ნაფიც მსაჯულებს შეუძლიათ ყოველ მხრით განხილვა კერძო შემთხვევისა, როგორც ამას ითხოვს კანონი. მთავრობის მოსამართლენი ყოველთვის ადგებიან ერთხელვე გაკვერილ გზას, მისდევენ რუტინას, არ უნდათ ნამდვილი შემთხვევა შეიგონონ, იმათ ყოველ შემთხვევისთვის მზათ აქვთ ერთხელვე განწესებული გადაწყვეტილება. მაგრამ ისინი ამაში არ არიან დანაშაული, იმათ უნდა მოვხსნათ ზურგიდან ასი და ათასი საქმის გარჩევა წელიწადში და თანასწორათ გაეუნაწილოთ ესენი ყველა მოქალაქეებს.

მხოლოთ ნაფიცმა მოსამართლეებმა იციან ზედმიწევნით თითოეული დამნაშავის ცხოვრების ვითარება, რადგან ისინი გამოკრეფილია მთელი ერთი მხრის მცხოვრებლებიდან, რომლის საშოდანაც გამოდის ყოველი დამნაშავე. ცოდნა დამნაშავის ცხოვრებისა, მისი ცხოვრების ვითარებისა ხომ ძალიან საჭიროა დანაშაულობის შეტყობისათვის და თუ მაინცა და მაინც ნაფიცი მსაჯული ვერ შეიტყობს, ვინ არის ჩამდენი დანაშაულობისა, ეს მაინც ზედმიწევნით ეცოდინება მას, ღირსია ბრალდებული შეწყალებისა თუ არა?.. ხოლო დასჯა უფრო მკაცრათ, ვიდრე ბრალდებულს ეკუთვნის, კანონითაც და სინდისითაც იგივე უსამართლობის ჩადენაა, როგორც დასჯა მართალი კაცისა.

სისხლის სამართლის კანონი სჯის ბოროტ სურვილს გამოცხადებულს საზოგადოების წინააღმდეგ, მაგრამ ამ ბოროტი სურვილის შენიშვნა და გაგება შეუძლიათ მარტო ადგილობრივ მცხოვრებთ და იმათგან შედგენილ ნაფიცთა მსაჯულთ.

შამ ვისურვოთ, რომ ასეთი სასამართლო მალე ყოფილიყოს შემოღებული ჩვენში.

ი—.

საიდუმლო ბარათი.

III.

ბირებულია, ჩემო ბესო, შენი საქმე! ამტეხიხარ, მომწერე რამე და მომწერეო და იმას კი არაფიქრობ, რომ საიდუმლოს შენახვა უნდა და არა საქვეყნოთ ღაღადი... მე დალოცვილო, რაც მოგწერე, ქვეყანას გააგებინე, სხვის ყბაში ჩაჰაგდე, კინაღამ ზურგზე ბოლი ამადინეს და კიდევ გინდა ისეთი საქმე დამმართო, რომ სულ თავი ბედი მაწყვეტინო?

არა, ძმავ, მე შენთან იმისთანა რამის მომწერი აღარა ვარ, რაც ყბათ ასაღებს გამხდის: თავი კი არ მომძულებია!

ხან-და-ხან რომ დაეფიქრდები, შენ ნამდვილი გულთმისანი მგონიხარ: გახსოვს, რანაირათ მიწინასწარმეტყველებდი ხოლმე,—მხატვარი გამოხვალო!. შენ იქნება დამცინოდი კიდეც მაშინ, რადგან შენ სახეს ხერიანათ ვერ ეხატავდი: თვალის ადგილას ყურს მოვაქცევდი და ყურის ადგილას მხრებს. მაგრამ მაშინ სხვა იყო და ახლა სხვა... ახლა, ჩემო კეთილო, ნამდვილი მხატვარი ვარ, მხატვარი სამთა კაშშირისა,—ანუ—საღმრთო წერილის ლექსიკონით რომ ეთქვათ,—სამებისა და ერთარსებისა... ჰა, შენმა მზემ! ეს კიდევ არაფერი! ხომ გაგიგონია: ხელოვნება იმას ჰქვია, როცა მხატვარი, ანუ მწერალი ცოცხლათ და ნამდვილათ დაგვაყენებს რასმე თვალწინო. ჩემი უკანასკნელი სურათი, უეჭველია, უკვდავ სახელს შემძენს ხელოვნებისას...

ამ რამდენისამე ხნის წინეთ სამი კაცი მოვიდა ჩემთან. არ ვიცი საიდან იცოდენ, რომ მე „მხატვარი“ ვიყავი, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ერთათ გადაბატეს საღერღელი საოცრათ აშლილი ჰქონდათ. გინდა თუ არა, სამივე ერთათ უნდა გადაგეხატოო—ჩამაცვდენ და მეც „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა“, გვერდით მოვიდეთ ჩემი სამხატვრო იარაღს ბოხრა.

— შენ, იაკობ, მარჯვენით მოუდექ, მე—მარცხნით და შუაზე ვასილი დავაყენოთ უფხრა ნიკოლოზმა თავის ამხანაგს და გვერდით მოუდგა ვასილს. იაკობმა, ნიშნათ თანხმობისა, თავი დაქნია, ერთი ჩაბეღლა და ვასილის მარჯვენა გვერდს ამოეტმასნა.

მე ხელში ავიღე სამხატვრო იარაღი და გულმოდგინეთ შეეუდექი ამ „სამებისა და ერთარსების“ კონტურის შემოხაზვას.

— კარგათ, შენი ჭირიმე! კარგათ დაგეხატე, ერთმანეთს არ დაგეშორო, ხომ იცი, ეს ჩვენი სული და ხორცია,—ერთ-ხვით მითხრეს ორივე ბუზბერაზებმა და თვალით მანიშნეს მეკობრისაკენ.

— დიახ, ვიცი, როგორ არ ვიცი, მაგრამ გირჩევთ ვაჩერდეთ, თვარა მასხრული სახე გამოგვიეთ. მეთქი, ეუპასუხე მე. ყველამ სული განაბა, მხოლოთ ვასილი რაღაც ეშმაკურათ იღიმებოდა ხოლმე ულეაშებ ქვეშ...

გავთავე კონტურის შემოხაზვა, დავინიშნე საპირო ადგილის ფერები და, გზა მშვიდობისა მეთქი, ვუთხარი. წავიდენ, მაგრამ სულითი და გულით მთხოვეს, რომ სურათი სამაგალითოთ ყოფილიო. კი ფასსაც შემპირდენ.

დავხატე, მეგობარო, სურათი, ჩემი ძალღონე არ დავიზოგე და, მართალი გითხრა, იმდენი სიცოცხლე მივეცი, რომ... მაგრამ რაღა რომ!... შენ წარმოიდგინე ჩემი გაკვირვება, როდესაც ერთ დილას ავდექი და საოცარი სანახაე კი ეჩვენ: ჩემი დახატული სურათის გმირები გაოცხლებულიყვენ... დიახ, გაცოცხლებულიყვენ, თუმცა არც ერთი მათგანი მოშორებული არ იყო თავის ადგილზე ერთმა რამემ ისე გამაკვირვა, რომ რამდენსამე წამს ფეხი ვეღარ გადავდგი, ენა მუცელში ჩამიყარდა... მოდი და ნუ გაკვირდები! კაცო, სურათი დავხატე, ყველას



სტენლი ეიმბერის ცხოვრებიდან.

თავისი შესაფერი სიგრძე-სიგანე მივეცი და ახლა რა ენახე!? შუაზე მდგომ „მეკობარს“ საშინელის სიმკაცრით დაეკერებია იქითაქეთ მდგომთ-თვ ს მუშტები, — უკაცრავათ, მუშტები კი არა, უშნო ტლანქი ფეხები,—და ისე მოგდოლინა, ისე ჩაეკენტლა ეს ამოდენა დევ გმირი ბუმბერაზები, თითქო სტერის გუდას ზიხლი დაკრეს და დაფშუტესო... საწყლებს, როგორ მერცხეთ, როცა დამნახეს! სულ სიმწარისა და სირცხვილის ოკეანი გადმოდიოდათ, მაგრამ რაღას იზამდენ! თავის ნაქებ-ნაფიდებ „სულსა და გულს“ ხომ ვეღარ გასწირავდენ და დაუდობლობის სახელს ვერ აკადრებდენ

უნდა გითხრა, ძალიან შეეწუხენ... და ერთი მრცხვენ... არა, ჩემო ბესო, მეტს ალარას მოკვეარ ამაზე ამ ქამათ, თვარა კიდევ გადავეჯარბებ და მერე შენგან ჩემს დაცინვას ბოლო ალარ ექნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარწმუნებ-კი, რომ რაც ზემოთ გითხარი, გადაჭარბებული არ არის და, თუ მაინცა და მაინც არ დაიჯერებ, მოდი და გაჩვენებ, როგორ მოკუნტული არის ჩემი სურათის ორი გმირი, რომელნიც „გულითადმა მეგობარმა“ შეუბრალებლათ ჩაწიხლა.

იკმარე მეორე წერილამდე ჩემი ხელოვნების ამბავი და მერე კიდეე სხვა იქნება.

შენი მეგობარი ᲥᲝᲠᲐᲜᲢᲝ.

კრიტიკული შენიშვნები.

(„ბუნება და ცხოვრება“ იდია ალხაზიშვილისა 1897 წ.)

Სრული, დამთავრებული დახასიათება ისეთი წიგნისა, როგორც ბ. ალხაზიშვილის „ბუნება და ცხოვრებაა“, შეუძლებელია; ამის მიზეზი შინაარსის მრავალგვარობა არის: ავტორს მოგზაურობა დაუდევს თავის წიგნისათვის სარჩულათ და შემთხვევის დროს ეხება სხვა და სხვა კითხვებს, რომელთა შორის საერთო თითქმის არაფერია; მაგრამ ეს კითხვები ერთმანეთთან დაკავშირებული მით არიან, რომ საერთო სარჩულზე არიან მოთავსებული; ჩვენ გარჩევაში კი ამ გვარი სარჩული შეუძლებელია. ჩვენ მხოლოთ უნდა შევეხოთ ავტორის მიერ აღძრულ კითხვებს, ავწონ-დავწონოთ, დავანახოთ მკითხველს, რამდენათ მართლა ახსნა ავტორმა ჩვენი ცხოვრების ზოგიერთი მოვლენები, და, რადგანაც სხვა-და სხვა კითხვებთან გვექნება საქმე, რომლებიც შინაარსით ერთმანეთს დაშორებული არიან, ამიტომ მკითხველთან ნურას უკაცრავათ, თუ ჩვენი გარჩევის სხვა და სხვა ნაწილები ერთმანეთთან დაკავშირებული არ იქნება. წ ბ ნ მ ი აწერილია თრიალეთისაკენ მოგზაურობა. მოგზაურობის დროს ავტორი გაცვაცნობს ნახულ ბუნებას, ხალხს, მის ცხოვრებას; სარგებლობს სხვა და სხვა შემთხვევით, მეცნიერულ ელემენტებს ურევს და ერცლათ ეხება ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ მოვლენას. ასეთი მრავალგვარი შინაარსის წყალობით წიგნი საყურადღებო საკითხავია. ყოველგვარი განვითარებული მკითხველი ჰპოებს შიგ თავისათვის საინტერესოს. როცა სხვა-და-სხვა მეცნიერული ცნობებით მოიღალებით, ავტორი გადადის ბუნების აღწერაზე; როცა ესეც მოგწყინდებათ, ავტორი მოგვითხრობს მოგზაურობის დროს ნახულ მცხოვრებლების ვინაობას, მათ თავგადასავალს; ამის გამო მთელი წიგნი დაუღალავათ და სიამოვნებით საკითხი გამოდის. საკაურისავე მიხედვით ჩვენ შინაარსსაც ორ ნაწილათ გავყოფთ: ჯერ ერთათ განვიხილავთ ყველა სამეცნიერო ცნობებს, შემდეგ ავტორის მიერ ჩვენი ცხოვრების ზოგიერთა მოვლენის ახსნას. პირველ ნაწილშივე მოთავსებულია მრავალი ასტრონომიული ცნობები, რომლებიც მარტივათ და ადვილათ არიან ახსნილი, რისგამო მკითხველს ნათელი წარმოდგენა რჩება. ხოლო ზოგიერთი თეორიები ავტორს გაკვრითა აქვს მოხსენებული, ერთგან ავტორი დედამიწას მზის ანგლეჯს უწოდებს; ის მკითხველი, რომელიც არ იცნობს უმთავრეს ასტრონომიულ თეორიებს მზ ს სისტემის განვითარების შესახებ, ამგვარი ახსნით ვერაფერს ვერ გაიგებს და უფრო აერევა გონება. ცოტა ერცლათ რომ დაეხასიათებია ავტორს მაგ. ლაპლასის თეორია, ძალიან კარგი იქნებოდა. ასტრონომიული ტერმინები ბევრი ისეა წიგნში ნახმარები, როგორც ხალხი ხმარობს. ჩვენის აზრით თუ ხალხში არის რაიმე ტერმინები, ჩვენც ის უნდა ვიხმაროთ, რადგანაც უმეტეს შემთხვევაში უკეთესს ვერ შევთხზავთ, ის ტერმინები კი, რომლებიც ქართულ ენაზე არ არსებობენ, სხვისგან უნდა ვისესხოთ. ზოგი იმ აზრის არის, თუ ტერმინი არ მოგვეპოვება, უნდა გამოვიგონოთ და არა ვისესხოთო. თუ შეიძლება, რომ ქართული სიტყვიდან ვაწარმოვოთ რომელიმე ტერმინი, რომელიც არ მოგვეპოვება, ძალიან კარგი, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, მაშინ უმჯობესია, სხვისგან ვისესხოთ, მით უმეტეს, თუ ყველა დასავლეთ ევროპის ერი ერთსა და იმავე ტერმინს ხმარობს. რაც მეტი იქნება ინტერნაციონალური ტერმინი, მით უმჯობესია; თუ ყოველ უცხო ტერმინს, გაქვს თუ არა, მაინც ვეცდებით, ქართულათაც სახელი მოვუნახოთ, ამით მხოლოთ ტერმინოლოგიას გავართულებთ ⁄ მეხსიერებასაც უმაქნისო შრომას მივაყენებთ: იმის მაგიერათ რომ ერთი ტერმინი ვიცოდეთ ერთი ⁄ იმავე მცნების გამოსახატავად, მაშინ ორი სამი ⁄ ოთხი ტერმინის ცოდნა დაგვჭირდება. ვენერას მაგიერათ ავტორი ერმის ხმარობს. ბევრი მკითხველი, რომელმაც იცის, ვენერა რაც არის, ერმის ვერ გაიგებს. რა საჭიროა მეტი სახელის შემოღება, როდესაც თითქმის ყველა განათლებული ერი ვენერას მხოლოთ ვენერას უწოდებს და სხვას არაფერს? ისეთი ტერმინები, რომლებიც ქართულ ენაზე მართლა არსებობენ, ავტორს თვითონ შეუთხზავს მაგალითათ большая медвѣдица ს ავტორი თარგმნის დათუნათ. თუ კი რუსები უძახიან медвѣдица-ს რა ცოდვა იქნება, რომ ჩვენც დათუნა დავუძახოთ, მაგრამ რა საჭიროა ამ ტერმინის გადმოთარგმნა, როდესაც ხალხმა, ვინიცის, რამდენი ხანია, ამ ვარსკვლავებს სახელი მოუნახა: იმერეთში მას უწოდებენ კვირის სათვალავს, უთუოთ იმ ტლანქი მზგავსების მიხედვით, რომ კვირა შვიდ დღეს შეიცავს. ეს ვარსკვლავებიც შვიდ ვარსკვლავს; ქართლში კი უწოდებენ გუთანს. სხვა-და-სხვა მეცნი-

ერული ახსნა ადეილი ენით არის დაწერილი; ავტორს მოჰყავს ამავე დროს ხალხის ცრუმორწმუნეობა, ხსნის, თუ რათ უწოდა ესა, თუ ის სახელი ხალხმა ვარსკვლავს; ამისგამო აღწერას ხალისიანობა ემატება და მეხსიერებაში უფრო ჩარჩება მკითხველს. წიგნში არის საყურადღებო ფიზიოლოგიური ცნობები, ზოოლოგიური, ფიზიკური კანონების ახსნა, გეოლოგიური შენიშვნები. ავტორი გვიხსნის ბუნების დიად კანონს მატერიის უკლებელობის შესახებ, მაგრამ ავტორი მგელს ელაპარაკება. ჩვენის აზრით ადამიანებისათვის რომ მიემართა ჩვეულებრივათ, უფრო აჯობებდა. ბატონი ვარძიელი ხსნის ფიზიკურ კანონს, ზამთარში წყალი რატომ არ იყინება ტბებსა და მდინარეებშიო შემდეგი სიტყვებით: „როგორც საზოგადოთ, ისე ჩვენი ტბის წყალი, როცა ზამთრის პირას 4° სითბოსი გახდება, ძირის სართული წყალზე უფრო მძიმე შეიქნება ⁄ ამიტომ ტბა ჩაძირავს ამ დამძიმებულ ზედაპირ წყალს“. ეს ალაგი მეტათ გაუგებარია, რადგანაც რაღაც „ძირის სართული“ და „ზედაპირა“ წყალი ერთმანეთშია არეული. ამ ალაგს გარდა მთელი კანონი ძალიან ადვილათ არის ახსნილი. ავტორი объемъ ის მნიშვნელობით ქართულათ გარსს ხმარობს, რაც შეცდომაა; თვით ეტიმოლოგია სიტყვისა გვიმტკიცებს, რომ გარსი უდრის რუსულ оболочка-ს და ამ მნიშვნელობით კაიხანია იხმარება ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაში. პროფ. პეტრიაშვილი თავის „ღვინის დაყენებაში“, ცხვეთაძე-როსკოს ქიმიის თარგმანში, ტანს ხმარობენ объемъ-ის მნიშვნელობით, სხვა ტერმინს ჩვენ არ შევხვედრივართ, მაგრამ ტანიც არ გამოხატავს მას, რასაც რუსული ტერმინი. საზოგადოთ, წიგნის სამეცნიერო ნაწილი ბუნების მეტყველებიდან ძალიან კარგია და საკმაო სარგებლობასაც მოუტანს ჩვენი მკითხველი საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც მეცნიერულ განვითარებას მოკლებულია. ავტორი დიდი თაყვანისმცემელია ბუნებისმეტყველების და აცხადებს: „ცხოვრების ასპარეზზე ბურთი იმას გააქვს, ვინც ჭკუაგონებით განვითარებულია და სულით, ხასიათით ძლიერია, ხოლო გონიერი სულის ძლიერებით ისაა აღჭურვილი, ვინც ბუნების მეცნიერების ემბაზშია ნათელღებული“. ამ სიტყვებში რაღაც პისარევისებურია: ხსნა მხოლოთ ბუნების მეცნიერებაში ყოფილა! თუმცა მეცხრამეტე საუკუნეს ბუნების მეტყველების საუკუნეს ეძახიან, მაგრამ დღეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ ცხოვრების ასპარეზზე ბურთის გასატანათ ბუნების მეტყველება სრულიადაც არ შეადგენს ერთათ ერთ უძლიერეს იარაღს. როგორ გაიტანთ მარტო ბუნების მეტყველებით ცხოვრების ასპარეზზე ბურთს, როდესაც ამ საზოგადოებრივი ცხოვრების გამოკვლევა სრულიად არ შეადგენს ბუნების მეცნიერების საგანს? ცხოვრების შეუგნებლათ ცხოვრებაში გამარჯვება—მხოლოთ იშვიათი და შემთხვევით ბედნიერება არის. დღეს თან-და-თან ცხადი ხდება ყველასთვის, რომ საზრიანი ცხოვრება, აქტიური მონაწილეობის მიღება ცხოვრების ტრიალში შეუძლებელია, თუ გამორკვეული არა გაქვთ სოციალური ცხოვრების კანონები. დღეს ვისაც საზრიანი ცხოვრება უნდა, ველარ კმაყოფილდება მარტო ბუნების მეცნიერებით და ანატომია-ფიზიოლოლიის გარდა ის იძულებულია, თითქმის მეტი ყურადღებითაც, ისწავლოს პოლიტიკური ეკონომია, ისტორია, სოციოლოგია და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერება, რომლებიც გამოაკვლევინებენ ისტორიული ევოლუციის შემომქმედ მიზეზებს. მიემართოთ ახლა წიგნის მეორე ნაწილს. ავტორი ეხება ჯავახელი ქართველების გადაგვარებას და უმატებს: „როგორ არა თქვას კაცმა, რაიმე გარემოების გამოცვლით, რად მიისწრაფოდენ ისინი მოეკლათ თავისი ბუნება... ალბათ გადაგვარება მაშინაც მოდით იყო შემოსულიო“. ავტორის აზრით რეხელების უნუგეშო მდგომარეობა მხოლოთ ენის დაკარგვის ბრალია. ქართველების სხვა-და-სხვა ნაწილის გადაგვარებას ბევრი მიზეზი უწყობდა ხელს; ცნობილია, რომ, როცა მაღალი კულტურის ერი იმორჩილებს უფრო დაბალი კულტურის ერს, მის ზნეჩვეულებას, ენას და სარწმუნოებას ნელანელა ცვლის; ამ გარემოებას ჩვენშიც ჰქონდა ალაგი. გარდა ამისა საკუთარი ენა და სარწმუნოება არ შეადგენს ისეთ რასმე, ურომლისოთაც ხალხს ცხოვრება არ შეეძლოს; ენა და სარწმუნოება მხოლოთ საშუალებაა ცხოვრების რიგიანათ მოსაწყობათ; თუ ცხოვრების და კეთილდღეობის ინტერესები მოითხოვენ, რომ ხალხმა თავისი ენა და სარწმუნოება დაჰკარგოს, ხალხი ჰკარგავს და არც შეუძლია, სხვა გვარათ მოიქცეს. ავტორი გვარწმუნებს: „უკეთუ ქართველობას შეგნებული ჰქონოდა ერთობის პრინციპი ⁄ თუ რომ ციხე შიგნიდან არ გატეხილიყო, ერთობის პრინციპს ვერარა დაარღვევდაო“. სრულიად ვეთანხმებით ავტორს, მაგრამ საკმარისი არ არის მიგვითითოთ იმ ფაქტზე, რომ ქართველობას ერთობის პრინციპი არ ჰქონდა შეგნებული; უნდა მიზეზიც დაგვანახოთ ამ მოვლენის. ერთს მაგალითათ ჰგონია, რომ ქართველები თვითონ იყვენ დამნაშავე, თორემ, რომ მოენდომებიათ, ერთობას კიდეც შექმნიდენო; ამავე დროს მოგვიყვანს იგავს: მეფემ სიკვდილის წინ შვილებს თავი მოუყარა, აიღო რამოდენიმე ისარი, შეკრა ერთათ, ჩამოურიგა ყველას, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გატეხაო და სხვ. შემდეგ დაუმატებს: ქართველებს კი შეეძლოთ შეეგინოთ ერთობის პრინციპი, მაგრამ დაუდეკარი, ბრიყვი ხალხი იყოო. თვით ავტორიც ამავე აზრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის და რამდენსამე ალაგას გულამღვრეული იძახის: „არა, ქართველობას ერთობის ნიჭი არა გვქონდაო“, ამგვარათ ისტორიულ მოვლენას აეტორი ქართველების ბუნებით ხსნის. მეორე კი დარწმუნებულია: ჩვენი ცხოვრება იმგვარი იყო, ერთობის პრინციპი ვერ აღორძინდებოდაო. რომელია მართალი და რომელი მტყუანი? ქართველის ბუნების ბრალია ერთობის პრინციპის შეუგნებელობა, თუ ისტორიული პირობების? ისტორიულ მსვლელობაში ხალხს ამოქმედებს აუცილებლობა და არა მისი საკუთარი ნება, აიღეთ მაგალითათ საფრანგეთის რევოლუცია. ეთქვათ ფრანგების უმეტესი ნაწილი, რომელმაც ფეოდალიზმი დაიქცია, თავისუფალი ნების თქმას ემორჩილებოდა; მაშინ ჩვენთვის სრულებით გაუგებარია და გასაოცარი, რაობით შეაერთა ამ თავისუფალმა ნებამ თითქის ორი მესამედი ყველა ფრანგებისა; რაობით გაქანა ერთი მიზნისკენ ბურჟუა და პროლეტარი? აშკარაა, მათ გარეშე იყო რაღაც მიზეზი, რომელიც ყველას ერთნაირათ ამოქმედებდა, ყველას ერთნაირ ნებას აძლევდა. ქართველობა ხომ გამონაკლს ვერ შეადგენდა; ჯერ ყოველად შეუძლებელი იყო, რომ ქართველობას ერთობის პრინციპი შეეგნო; ეთქვათ კიდეც რომ შეეგნო, ერთობას ვერ დაამყარებდა, რადგანაც ამ ერთობას თვით ცხოვრების წეს წყობილება ეწინააღმდეგებოდა. საქართველოს ცხოვრება აგებული იყო ფეოდალურ ნიადაგზე. ფეოდალს თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ თვითონ ჰქონდა ყოველისფერი; ამიტომ მეორე ფეოდალი მისთვის საჭირო აღარ იყო; მისი ინტერესები იმას კი არ მოითხოვდენ, რომ სხვას შეერთებოდა, ერთობის პრინციპი აღეარებია, არამედ იმას, რომ სხვები დაემხო ან თავისი ძლიერება გაეერცელებია. ხალხიც ამავე აზრის იყო, რადგანაც ყოველ მოსახლეს თვითონ ჰქონდა ყოველისფერი საჭირო და მისთვის სასარგებლო ის იყო, რომ მეზობელი გაეცარცვა ან არა ის, რომ მას დაპყობრებოდა. ქართველობა კიარა, ვინც უნდა ყოფილიყო, ფეოდალურ ნიადაგზე ერთობის პრინციპს ვერ შექმნიდა; ისტორიაში მხოლოთ ის იდეა იმარჯვებს, რომელიც თვით ცხოვრებისაგან არის გამოწვეული, რომელსაც ცხოვრებაშივე აქვს ნიადაგი მომზადებული და ცალიერი ფანტაზიის ნაყოფი არ არის. ერთი სიტყვით, ქართველმა ერმა თუ ერთობის პრინციპი ვერ შეიგნო, ეს არც მისი ბუნების ბრალი იყო, არც გონების, არამედ ფეოდალური წესწყობილების, რომელიც ერთობის პრინციპის მტერია. ფეოდალს რწამს მხოლოთ თავის ინტერესები; მისი ინტერესები კი ერთობას არ ითხოვს; თავის სარგებლობას უმსხვერპლებს ის ენას, სარწმუნოებას, ზნეჩვეულებას; ამიტომ გასაკვირველიც არ არის, თუ ერისთავები და მეფის შვილები ზოგი სპარსეთისკენ გარბოდა, ზოგი ოსმალეთისაკენ ან პირობას დებდენ, ოღონდ პირველობა მოგვეცით, მოწინააღმდეგენი დაგვამარცხებიეთ და მთელ ქართველობას გადავარჯულებთო. მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარის გერმანია ცოტათი მაინც ჯობდა ძველ საქართველოს, თუ ბევრით ვერა; რატომ ვერ დაამყარა მან ერთობა, სანამ ინდუსტრია არ განვითარდა, შრომის განაწილების გამო გერმანიის სხვა-და სხვა კუთხე ერთმანეთისა თვის საჭირო არ გახდა, რატომ გერმანელის ბუნებამ მაინც ვერ შეიგნო ერთობის პრინციპი?

ივ. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

ბ ა ქ ო.

(გაგრძელება) *)

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲛᲘᲡᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲓᲐ ᲭᲔᲑᲘᲡ ᲛᲚᲐᲨᲘ ᲬᲧᲚᲔᲑᲘᲗ „ᲐᲛ ᲬᲧᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲛᲐ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲛᲐ ᲓᲐᲒᲕᲐᲜᲐᲮᲐᲝ, ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲞᲠᲝᲛᲘᲡᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲝ ᲔᲥᲘᲛᲘ (ᲓᲐ ᲐᲛ ᲐᲖᲠᲡ ᲣᲔᲠᲗᲓᲔᲑᲐ „ᲡᲘᲔᲖᲓᲘᲪ“), ᲠᲝᲛ ᲧᲡ ᲬᲧᲚᲔᲑᲘ ᲧᲝᲕᲚᲐᲓ ᲣᲕᲐᲠᲒᲘᲡᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲗ, ᲕᲔᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲕᲔᲠ ᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲡ ᲗᲕᲘᲗ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲰᲘᲪᲘᲔᲠᲘᲡᲐᲡ“ Ო, ᲠᲘᲡᲒᲐᲛᲝᲪ ᲡᲐᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲡ ᲓᲐᲣᲓᲒᲔᲜᲘᲐ ᲗᲮᲝᲕᲝᲡ „ᲜᲐᲔᲗᲘᲡ ᲛᲬᲐᲠ. ᲙᲠᲔᲑᲐᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲝᲡ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ. ᲔᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲛᲘᲡᲚᲔᲑᲖᲔ „ᲐᲠᲔᲡᲜᲘᲢᲣᲚᲘᲗ“ ᲒᲐᲬᲛᲔᲜᲓᲘᲚᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲐᲥᲕᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛᲘᲗ ᲙᲘᲓᲔ ᲣᲛᲪᲘᲠᲧᲡᲝᲑᲐ, ᲓᲘᲓᲘ ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲘ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲬᲧᲐᲚᲡ ᲫᲕᲘᲠᲐᲗ ᲰᲧᲘᲓᲘᲐᲜ (ᲕᲔᲓᲠ. $1^1/_4$ ᲙᲐᲞᲔᲘᲙᲐᲗᲝ). ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲘᲡᲔᲔ ᲛᲚᲐᲨᲘ ᲬᲧᲚᲘᲗ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲜ-ᲓᲐ-ᲮᲐᲜ ᲘᲡᲘᲪ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲜᲐᲔᲗᲘᲐᲜ ᲮᲔᲚ-ᲤᲔᲮᲡ ᲛᲨᲠᲐᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲗ ᲓᲐ ᲩᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲬᲛᲔᲜᲓᲐᲕᲡ.

*) ᲘᲮ. „ᲙᲕᲐᲚᲘ“ № 49

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყლის სიძვირის გამო პრომისლებზე სულ 2—3 აბანოა და ისიც ისე მოშორებით, რომ ხელმიუწდომელია შორეულ მუშებისათვის. ეს აბანოები ყველა თათრებისაა და მეტათ უსუფთაოთ ინახება. ერთ იმათგანში აუზია, რომელშიაც თითო კვირაობით დგას ნაბანი წყალი და რა წყალიც იქნება, ეს თითონ თქვენ წარმოიდგინეთ... სასმელი წყლის უქონლობის გამო მუშებში გავრცელებულია, როგორც ეს ადგილობრივ ექიმთა მიერ აღნიშნულია, სისხლით ფაღარათი. ბალახანის და ბიბი-ეიბატის საავათმყოფოთა ანგარიშიდან ჩანს, რომ 1890 წ. ივლისიდან ოქტომბრამდე 217 მუშა ყოფილა ამით ავათ და ამათგან 12 მომკვდარა. წყლის და აბანოების უქონლობაში ხედავს ადგილობრივი საოლქო ინჟენერი „ერთ არსებით ნაკლთაგანს საბჭოს პრომისლებისას, სადაც წყლის მოთხოვნილება უდიდესია, რადგან მუშებს საქმე აქვთ მუდამ ნავთთან, რომელიც ძალზე სერის სხეულის კანს და აჩენს მაზე მუწუკებს“. პრომისლებზე 200-დე ფირმების პატრონთ, სადაც 7000 მუშა მუშაობს, მარტო ნობელს და ასადუდაევს აქვს მუშებისათვის აბანოები.

პრომისლების და ზავოდების მუშების ავათმყოფობას იწვევენ არა მარტო წყლის, ჰაერის და ნიადაგის ცუდი პირობანი, არამედ მათი შინაური მდგომარეობა და ცხოვრება. „პრომასლებზე არსად არ არისო, ამბობს საოლქო ინჟენერი, რამდენათმე ხეირიანი სასადილოები ან სამზარეულო სახლები, და ამიტომ მარტო-ხელ, უოჯახო მუშებს არ შეუძლიათ თავისთვის საჭმლის დამზადება, რის გამოც ისინი კმაყოფილდებიან ხმელა პურით ან კ-დე საეჭვო თვისების მწვანილით“. 1892—93 წწ. გაუხსნიათ აქ ასეთი სასადილოები მუშებისათვის, მარა ისინი ისევ მალე დაუხურავთ, რადგან ცალიერი სიტყვით მუშების მკვებავთ ნივთიერი დახმარება არ აღმოუჩენიათ.

აი, როგორ ახასიათებს პრომისლებზე სურსათის გამყიდველ დუქნებს სასანიტარო ექიმი. დუქნები, სადაც მუშები სასმელ-საჭმელს ყიდულობენ მეტის-მეტათ უსუფთაონი არიან: კედლებზე, ჭერზე იატაკზე, ხორცის ჩამოსაკიდ განჯირებზე და დასაჭრელ ფიცრებზე მუდამ ტალახი და მტვერია რასაც თითო თვეობით არ გადარეცხენ. ხორცი ჰკიდია დუქნების წინ, სადაც მას სულ მუდამ მტვერი ეყრება. პურის საცხობი ოთახები ხომ ღამღამობით მუშების თავშესაფარს შეადგენს. ისინი წვებიან (რასაკვირველია ჭუჭყიანი ტანისამოსით) თვით პურის საზელ ფიცრებზე. მე თითონ ვნახეო, ამბობს ანგარიშში სასანიტარო ექიმი, ჩვენი მისვლის დროს როგორ გადმოალაგა მუშამ გასვრილი ფეხებით ცომიან ფიცრებს და შემოგვეგებაო. საცომე გობზე გაალაგებენ მუშები ფიცრებს და ძირავთ ჭუჭყიან ქვეშაგებზე, დილას კი იმაში ცომი უნდა მოიზილოს. ყოველივე ეს ზ ზღს გვრის ადამიანს როდესაც ხედავ, რომ ა ე ექცევიან უპირველეს საჭირო საგანს — პურს.

არა ნაკლებ ანტისანიტარულ სანახაობას წარმოადგენს მუშების მდგომარეობა მათ საცხოვრებელ ბინებში, სადაც ისინი გოჭებივით ერთი-ერთმანეთზე შესურსულნი არიან. აი რას ამბობს ამ სახლებს შესახებ სამთო-მადნის დეპარტამენტის 1893 წ. ანგარიში: „თითქმის ყველა მუშები, გარდა ადგილობრივ მკვიდრთა, ცხოვრებენ კაზარმებში, რომელთაც აძლევენ მათ ნავთის მწარმოებელთა ფირმები, და თუმცა წასული წლის ხოლერის მოლოდინის და სასანიტარო კომისიების დადგენილებათა გამო მიწური სახლები, რომლებშიაც მანამდე მუშები ცხოვრებდენ, მოსპო, მარა ახლანდელი კაზარმებიც ნაკლებათ აკმაყოფილებენ თავის დანიშნულებას. სინათლე იმათში თითქმის ყოველთვის ცოტაა ჰაერის გასაწმენდი არ მოიძევა, ოთახები სულ ერთიანათ ავსებულია მუშებით. კაზარმებს ათბობენ ყველგან ნავთით, რომელიც ცუდი ფეჩების გამო მუდამ ტალახსა და კომლს აყენებს სახლში და ცეცხლის გაჩენის მხრითაც საშიში არის. ბევრია ისეთი ფირმები, რომელნიც შეცვლით იყენებენ მუშებს, ე. ი. დღისით ერთი რიგი ისვენებს 'შიგ და ღამით მეორე“. ანგარიშის მიერ ასეთ ლმობიერ დახასიათებას მუშების ბინებისას ჩვენ კიდე იმას დავუმატებთ, რომ იმათ საძინებელ ოთახებში საჭმლის საკეთებელი პლიტებიც თან აქვთ, იქვე პურს იცხობენ, ირეცხვენ და ცოლ-შვილიან კაცებთან ერთათ უცოლონიც ცხოვრებენ. ამნაირ კაზარმებს ცალკე დამწმენდელ-მიმლაგებელი, რა თქმა უნდა, არაევინა ჰყავს და ამიტომაც მათ ოთახებში მუდამ მტვერი, ტალახი და მყრალი სუნი დგას. ჰაერი ძალიან იშვიათ შემთხვევებში თუ არის ნორმალური მოთხოვნილებისა. საშუალო

რიცხვით კუბიკური სივრცე ჰაერისა ყველგან 1 საქენზე ნაკლებია. როგორც ვიცით, ერთ ადამიანზე 4 კუბიკური საქენი ჰაერია საჭირო ოთახში, თუმცა ბაქოელი მუშები ამ უბრალო ჰიგიენური კანონის განხორციელებას, ვგონებთ, ვერც მეოცე საუკუნეში მოესწრებიან, საუკეთესო კაზარმები მუშებისათვის აქვთ ნობელს, ბეკენდორფს და კასპიის და შავი ზღვის საზოგადოებას. აქ თითო კაცზე $1^1/_2$—2 კუბ. საქენი ჰაერი მოდის, ყველას თავ-თავისთვის საწოლი ლოგინი და საჭმლისათვის ყუთები აქვთ მიჩენილი, ოთახები დიდი, მაღალი და ელექტრონით განათებულია, თუმცა სამზადი პლიტები ზოგან აქაც ოთახებში ან ოთახების წინ არის. ყველაზე უფრო ცუდი საცხოვრებელი ბინები მუშებისათვის აქვთ: მირზოევს, თუმანიანცს, მნაცაკანოვს, ალაევერდოვს, ტატუსოვს, ძმ. ცოვიანოვებს, ტერაკოფოვს, თუმაევს, დე-ბურს, მელიქოვს, კორლანოვს, კოლესნიკოვს, ავაკოვს, შაგიდანოვს, პოპოვს და კომპ., აშურბეკოვს და ზოგიერთ პრომისლებზე მანთაშოვს. ყველა ამათი კაზარმები მეტის-მეტათ უწმინდურათ ინახება და უსინათლონი არიან. ზოგიერთ ფირმებს სულაც არ აქვთ ბინა არა თუ დროებით მუშებისთვის, არამედ მუდმივთათვისაც კი. ასეთია მაგ. ფირმები: არაფელოვის, იუზბაშევის, შიბაევის, კრასილნიკოვების და სხ,

ყველა ზევით ნათქვამიდან უნდა დავსკვნათ შემდეგი: 1, პრომისლებზე მომუშავე 6830 მუშებიდან ფირმების სახლებით სარგებლობენ მხოლოთ 4,937 კაცი (27°), ხოლო დანარჩენ 1893 $27^1/_2$°) არავითარი მუდმივი თავშესაფარი არ აქვთ. ისინი ხან ერთი სახლის ყურეში, ან აივნებში ათენებენ ღამეს, ხან მეორისა და ხან მესამისაში. ზაფხულობით კი მრავალი მათგანი ნავთიან მიწაზე ყრიან გარეთ, რამაც რევიზორების ყურებამდე მიაღწია ზოგიერთ ფირმებში; 2, უნაკლულო (რასაკვირველია, უბრალო მომაკედავთათვის) ბინები სრულიად არ არის; ისეთები კი, რომელნიც ცოტათი მაინც აკმაყოფილებენ ჰიგიენურ მოთხოვნილებებს სულ 4—5 ფირმას აქვს; 3, უფრო მომეტებული ნაწილი მუშების ბინებისა სრულიად უვარგისი და ანტისანიტარული არის; 4, მათი სასმელ-საჭმელიც მეტათ უვარგისია და ვერ აკმაყოფილებს უპირველეს მოთხოვნილებას ადამიანისას და 5, უწყლობის გამო ჯანმრთელობაზე და სისუფთავეზე ზრუნვა მათთვის არ არსებობს.

ᲐᲠᲘᲘᲡ.

(შემდეგი იქნება)

„რა ზიზღით მიცქერის?!.“

(ეტიუდი)

I.

ცხელა, საშინლად ცხელა. ჯერ თორმეტი საათიც არ არის და კაცს გარედ აღარ გამოესვლება. ამისდა მიუხედავად მაინც თბილისის მტვრიან ქუჩებში მოძრაობა არ შეწყვეტილა. აგერ, გაქაფებული ცხენები ეტლს მიახრიალებენ და შიგ მჯდომი კი ქოლგას ეფარება. მეჯაგვე? ცხენს გვერდით მოსდგომია და რაც ძალი და ღონე აქვს უქაპუნებს, მაგრამ ცხენი ადგილიდგან არ იძვრის. ეღარას ჰხედავს. ცხენსაც და პატრონსაც ღვართქლი ჩამოსდით.

— კუდზედ უკბინე, კუდზედ?... — გაეხუმრა კონტო და ხმა მაღლივ ყვირილი მოართო: კიტრი, კიტრი, შუშა კიტრიი... პა, პა, პა!... რა გრილი კიტრია!... ღმერთმანი, კოხტა ვირის მოტანილია!... აბა, აქეთ!... კიტრი, კიტრიი!...

— აი, შენი!...—ალარ დაათავა მეჯაგვემ სიტყვა, შოლტის ტარი მოაბრუნა და ბრაზმორეულმა ისე მაგრად დაარტყა ცხენს, რომ შოლტის ტარი შუაზედ გადატყდა.

ცხენმა უეცრივ გაიწია, მაგრამ ჯაგვა მხოლოდ ააჭრიჭინა და ადგილიდგან კი ვერ დასძრა. ცხენს დაჭიმული კუნთები მოუდუნდა, თრთოლამ აიტანა და უეცრივ მუხლები მოეკეცა.

— წკრრრ!..- ააწკრიალეს ტრამვაის ზარი და მხარ-თეძოზედ წამოწოლილ ცხენს ეგონი გვერდით აუსლიკინდა...

— აი შე!..,—ყვირილით გადმოხტა ეგონიდგან ერთი ჩასუქებული კაცი და მეჯაგვეს ყელში სწვდა.

— გორდოვოი!... —ყვიროდა ჩასუქებული კაცი და თან მეჯაგვეს ანჯღრევდა.

იმის ყვირილზედ ასასიც მოვიდა და წინ გამოეჭიმა.

— ოქმი, ოქმი!... ეხლავე ოქმი უნდა შევადგინოთ ამ საზიზღარზედ, რომ ასე სტანჯავს ცხოველს! იმოდენა ტვირთს უდებს, რომ...

— შევადგინოთ, თქვენო კეთილშობილებავ, შევადგინოთ!..—გულწრფელად ეუბნება ასასი.

— შენ იცი მე ვინა ვარ?!.

— ვიცი, თქვენო კეთილშობილებავ!.. თქვენ ცხოველებთა მფარველ საზოგადოების წევრი ბრძანდებით!..

— ჰო და... ეხლავე ოქმი!...

მეჯაგვეს გამოაშვებინეს ცხენი. ტვირთი გაუნახევრეს და შემდეგ გამგზავრების ნება მისცეს.

— რა კეთილი კაცი ყოფილა!..—გულის სიღრმიდგან ამოსკდა გიგლას, რომელიც აგერ კედელს აჰყუდებია და ამ სურათს თვალ-ყურს ადევნებს.

ეს სამი დღეა თბილისში ჩამოვიდა გიგლა სამუშაოდ, მაგრამ ჯერაც ცის ქვეშ ათენებს და აღამებს. რამდენიმე პური ჩამოჰყვა თან, ის გუშინ დილითვე შემოელია. მას შემდეგ გემოთ არა უნახავსრა. ნაცნობი არავინ. ვის მიჰმართოს?.. არ იცის. საცა სამუშაო იკითხა, ყველგან უარი უთხრეს. შინ დაბრუნდეს?.. მერე რა გააკეთოს? ხომ იმისთვის წამოვიდა, რომ სახლში საქმე არა ჰქონდა?!. ყანები მოუცდა. იქ ახლო-მახლო სოფლებშიაც მოსცდა მოსავალი. ორმო ცალიერი, და ფქვილის გოდორი ხომ დიდი ხანია გამოებერტყა. „რამ უნდა დაიოკოს ამოდენა ჯალაბობაო?!.“—იფიქრა შინ და ქალაქში წამოსელა არჩია ერთი ორი გროშის საშოვრად. „ესაც ქალაქი!..“—წამოიძახა გიგლამ ორი დღის სიარულის შემდეგ თბილისს რომ მოადგა, და უეცრივ მძიმე სუნმა სუნთქვა შეუხუთა. „ესაც ქალაქი!..“—იმეორებს ამ სიტყვებს ეს სამი დღეა, და კუჭი უკაკანებს. ეს ოხერი, მჭვალი რალას გადაეკიდა?!. რიგიანად ველარ უსუნთქავს, გვერდში ისე მაგრად ჰჩხვლეტავს. თითქოს სიცხეც თან-და-თან უმატებს, მაგრამ რა სიცხე, „მზე მახურებსო!..“—ინუგეშებს თავს გიგლა. წყალი კი უხვად აქვს. იქავე ახლოს მილის წყალს იღებენ კოდებში. ისიც ყოველ ხუთი წუთის განმავლობაში წყალს ეწაფება...

— შენი ჭირიმე, ბატონო...—ნაბდის ქუდი მოიხადა და ძალ-დატანებით მიჰმართა ჩასუქებულ „ცხოველთა მფარველ საზოგადოების“ წევრს, როდესაც ის გიგლოსკენ მოტრიალდა.

— რა გინდა?..—მკვახედ დაეკითხა ჩასუქებული წევრი და ცოტა ხანს შესდგა გიგლოს წინ.

გიგლოს ენა დაება. რა უნდოდა?.. ეხლა გიგლომ აღარ იცოდა. აგერ მეორე დღეა ესე წვალობს. უნდა ითხოვოს, მოწყალება მაინც სთხოვოს ვისმეს, მაგრამ ყოველ ხელის გაწვდაზედ უცბად ედუნება მკლავები, ენა უდამბლავდება, და მისი განზრახვა ისევ განზრახვად რჩება. ვერა ჰბედავს. „სირცხვილია“ ამბობს და ადამიანისადმი მისამართ თხოვნას ზეცისკენ ჰგზავნის. იმისი არა ჰრცხვენიან.

ეხლაც მხოლოდ ჩასუქებულს მიჰმართა იმისთვის, რომ მის საქციელმა აღტაცებაში მოიყვანა. მაგრამ ჩასუქებულის მკვახე კითხვამ დაამუნჯა...

— რა გინდა?..—გაუმეორა ჩასუქებულმა იმავე კილოთი კითხვა და თავით-ფეხებამდის აათვალიერ-ჩაათვალიერა.

მიწა რომ გახეთქილიყო ის ერჩივნა გიგლოს, ვიდრე ამ კაცის წინ ქუდ-მოხდილი დგომა.

— მე... სამუშაოდ ჩამოვედი. ვერა ვიშოვერა... არაფერი მაქვს... მჭვალიც...

— ჰოოო!... ჩაიარე!...—ზიზღით უთხრა ჩასუქებულმა და ბურტყუნით მხარი აუქცია.

— ჰმ!...—ჩაიცინა და მწარე ღიმი ტუჩებზედ აუთამაშდა.

ტყვიასავით მოჰხვდა ჩასუქებულის სიტყვა გიგლოს, და მუხლები დაუდამბლავდა. მუხლების თახთახით იქავე ჩაჯდა და შუბლიდგან ჭირის ოფლი მოიწმინდა...

— რადა ვთხოვე, რადა?!. —თავის ქნევით და მწარის ღიმილით ეკითხებოდა თავის თავს და ჰკიცხავდა თავის საქციელს...

— ვა, რა გზაში ჩაჰგდებულხარ?!.—ფეხის წამოკვრით ზედ გადაალაჯა ერთმა კინტომ და დაიყვირა: მწვანილი, მწვანილი!...

ხმის ამოუღებლივ წამოდგა გიგლო. ქალაქის იმედი გადაუწყდა. არჩია ისევ სოფლად წასვლა. „იქნება აქეთ სოფლებში ვიშოვო რაიმე სამუშაოო“—გაიფიქრა და ვერის გზას ლასლასით გაუდგა.

მზე კი უხვად უგზავნიდა სხივებს, თავს დასტრიალებდა ქალაქს და სულდგმულთ ტვინს უდუღებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II.

— ღმერთო ან მომკალ, და ან კიდევ ერთი ცვარი წყალი ჩამაყლაპე!...—პირ გამომშრალმა წამოიძახა და ანთებული თვალები ზეცას მიაპყრო.

გიგლას უნდა წამოდგომა, მაგრამ სხეული აღარ ემორჩილება. იცის, რომ სულ ორი ვერსი აქ ნება მტკვრამდის; იცის, კარგად იცის და აგერ პირ-და-პირ მტკვარსაც ხედავს, ბუნდათ ხედავს, და წყურვილიც უათკეცდება. სწყეულის თავის თავს, რომ მტკვარს დაჰშორდა და ხელ-მარცხნივ გადაუხვია, მაგრამ რა ქნას, რომ მარცხნივ სოფელს თვალი მოჰკრა და იქით გაეშურა. „იქნება იქ მაინც ჩქარა მივიდე და ცოტათი სული მოვიბრუნოო“, გაიფიქრა, მაგრამ იქამდის ვეღარ მიაღწია და ამ ხესთანაც ძლივას მოვიდა. მზის სხივებს ვეღარ გაუძლო და აქ ჩრდილში წამოწვა...

მჭვალი?!..

მჭვალს ვინღა ნაღელობს, თუმცა სუნთქვას უხუთავს, რომ წყალი, ერთი ცვარი წყალი ჰქონდეს!..

— ღმერთო!..—წამოიძახა სასოწარკვეთილებით და უნდოდა თავისი თხოვნა გაემეორებინა ხმით, მაგრამ მოაგონდა, რომ რამდენჯერმე მიჰმართა და მისი სიტყვები უპასუხოდ რჩებოდნენ, ლმობიერებით აღსილი თვალები მოუკრიალდნენ და სწრაფ უნუგეშობით აღივსნენ. გიგლამ არე-მარესლა გადაავლო თვალი და, დახე მის განცვიბრებას, მზის სხივები ვეღარ დაინახა. საჩქაროდ ცას შეჰხედა. ნუ თუ შეესმინა ამის ვედრება?!. ცა წაფერფლილა! მის სიხარულს არ აქვს საზღვარი. „ღმერთო, ღმერთო!“ იძახის სიხარულით გიგლა და პატიებას შესთხოვს ეხლა ღმერთს, თავის უნუგეშობით თუ აწყენინ...

ცა იქუშება, ცა ირაბდება. ჩამობნელდა. სუნთქვა გაძნელდა. განრისხებული ცა ბრძოლის სამზადისშია და თითქოს ფიქრობს ისეთი რა ჩაიდინოს, რომ ყველარის თავის მოქმედებით ქვეყანას თავზარი დაცეს.

თუმცა ძნელი იყო გიგლასთვის წამოწვევა, მაგრამ მაინც წამოიჩოქა, გვერდით ხის ძირს მიეყრდო, ტკბილმა, ტკბილმა უფლისადმი სასოებამ შეიპყრო; და მთლად სასოებად გარდაქმნილ მადლობის ჰიმნის წარმოსათქმელად მოემზადა მისი არსება...

ერთი კიდიდგან მეორემდის ცას ციცლის ხაზი გადაეკლაკნა და ამ გარემოებამ გონება მისი თან გაიყოლა ვეღარ მოასწრო სიტყვის წარმოთქმა.

ელვას თან მოჰყვა საშინელი ცის ხმაურობა. ყველა შეძრწუნდა, ვისაც კი ოდნავ შეუძლიან შეძრწუნება, და თვით დედამიწაც შეფიქრიანდა..

III

— გული გამ-სკდა!... —წამოილაპარაკა ბოლოს ვეისთვის თბილისისკენ მიმავალმა ბაყალმა და ჩოხის ფალთები შემოინაოჭა, შეათამაშა და მარცხენა მხარზედ გადაიფინა. „მეგონა“,—განაგრძო, წარღვნა იქნება მეთქი, და თურმე კი... ამ ცასაც როგორ მასხარაობა სცოდნია, პუსტოი ტრეეოგა ჰქონია!... დედა-მიწა არც კი დაასველა. ერთიბეწოთ წამონამა და, აბა ერთი ე ცას შეჰხედე, რა უეცრივ მოკრიალდა... ჰმ!... —ჩაიცინა ბაყალმა და, თითქოს ვერა გაუკიარაო, და თან კიდევაც არ უნდა ამაში გამოტყდესო, ისე გადააქნევ-გადმოაქნია თავი. ამავე დროს შესდგა და მიიხედ მოიხედა...

— ეაა!.. დიდება, შენთვის ღმერთო!—განცვიფრებით ხუთი თითით პირჯვარი გადიწერა და ჭოლოლით განაგრძო: რაზე მე დამეცემოდაა!.. ამოდენა ხე შუაზე გაუხეთქია და მე რაღას მიზამდა?!... მგონი... ჰო, მართლა, მეხის ნატეხი კარგიაო, ამბობენ. მოდი მოვნახამ, იქნება, ვიპოვო...—სთქვა ბაყალმა და ხესთან მივიდა.

— ე, შე ცინგლიანო, შენ კიდევაც გიპოვია მეხის ნატეხი,—წამოიძახა, როდესაც ხის ქვეშ მიმჯდარ გლეხს თვალი მოჰკრა.

—ძმობილო!— წამოუარა წინ და დაუძახა, მაგრამ უეცრივ ბაყალს ფერი ეცვალა.

ხის ძირში მიმჯდარი გლეხი ქანდაკებასავით გაშეშებულიყო.

ბაყალმა ერთი კიდევ შეჰხედა, შიშმა აიტანა, და გლეხის სახის გამოძეტყველებას ვეღარ გაუძლო.

მხოლოდ, ზიზღი, ზიზღი და ზიზღი შეგეძლოთ ამოგეკითხათ გლეხის ოდნავ გახელილ თვალებში და მოღიმარ ტუჩებში!...

— ვა, რატომ ზიზღით მიცქერის?!.—წამოიძახა ბაყალმა კანკალით და რაც ძალი და ღონე ჰქონდა თბილისისკენ გაჰკურცხლა...

დ სურაბი. შ. არაგვისპირელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი რედაქციის მიმართ.

ერთი უსარგებლო ჩვეულება გვაქვს, საზოგადოთ ყველას და განსაკუთრებით ხონელებს; დარიბია თუ მდიდარი ახალწელიწადს მოვალეა გამართოს „სტოლი“, რომელზედაც იხარჯება არა ნაკლებ 15 მანეთისა. 1000 მოსახლეზე, რომ ვინგარშოთ წელიწადში 15000 მანეთი შედგება და ამითი რამდენი კეთილი საქმე გაკეთდებოდა, ეს ყველასთვის ცხადია-(ხონელებს ერთი წიგნთ საცავიც არა გვაქვს). სხვებს რა ძალა მაქვს ვაიძულო და მე კი ჩემდა თავათ ვსთქობ ამ ჩვეულობას და, როგორც დარიბი კაცი, ახალწელიწადს „სტოლის“ მაგიერათ გავახლებთ ხუთ მანეთს და უმორჩილესათ გთხოვთ 1 იანვრიდან ყურნალი „ჯეჯილი“ უგზავნოთ მარტვილის სამკითხველოს. თუ მიმბაძველები გამოიჩნდებიან დიდათ ბედნიერათ ჩავთვლი ჩემ თავს. თქვენ კი ქ-ნო რედაქტორო, უმორჩილესათ გთხოვთ გამოაქვეყნოთ ეს ჩემი წერილი, რადგან ახალ წელიწადი მოახლოებულია და მსურს უზრუნველ ეოფილი ვიყო იმ დღეს ამ ძალობით სტუმრობისაგან.

მასწავლებელი ა. გეგეჭკორი.

საქვეყნ-მოქმედო საქმე

ეკეთე ერეკლეს ფონდის სასარგებლოთ კნ. მარიამ შარვაშიძისამ შემოიტანა ქ. ახალქალაქში მოგროვილი ბოლკონიკ ოქრო მაჩაბლის მიერ 41 მ 50 კ. და ახალსენაკში კნეიგინა ეკ. დადიანის მიერ 3 მ. თავმჯდომარე კომიტეტისა კნ. ნ. ე. ქობულოვისა უღრმეს მადლობას უძღვნის, როგორც თვით მამგრეველებს, აგრეთვე ეველა შემომწირველთ.

—

ქ ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთი „ცვალს“ საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ბოქულოს ბატონ კოსტანტინე გიორგის ძე ყორყოლაძეს, რომლის მეცადინეობით და დახმარებით დიდგა ფოშტის ეუთი მექვენის ფოსტის სადგურზე, ლეხუმის მაზრაში. დიდი ხნის ლოდინს შემდეგ ჩვენც გავხდით ღირსი, რომ თავთავის დროზე მიეიღოთ ხოლმე ყურნალ-გაზეთები.

ლ. ყანისა.

თამარ დედოფლის დიდი სურათი (ფერადი წამლებით) ღლეის იქით გაიყიდება „ᲙᲕᲐᲚᲘᲡ“ რედაქციაში 1 მ. 50 კ. (გასაგზავნი ფოსტის ხარჯი 30 კ.)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

ქართული თეატრი.

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, 13 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ 1898 წ.

ქართული დრამ. საზოგ. არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

რევიზორი

კომედ. 5 მოქმედ. თხზლება ნ. გოგოლისა. თარგმანი ს. ჭიჭინაძისა

სადგილების ფასი დაკლებულია

—

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 17 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ბ ე ნ ე ფ ი ს ი

ვ. ა. ა ბ ა შ ი ძ ი ს ა

წარმოდგენილი იქმნება,

ქ-ნ. ნ. გაბუნია-ცაკარდის მონაწილეობით

I

ᲐᲘᲠᲘᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ

კომედ. 3 მოქმედ. გადმოქართულებული თავ. დ. ერისთავისმიერ.

II

მეორე მოქმედება ა. ცაგარლის კომედიიდან

Ხ Ა Ნ ᲗᲣ Მ Ა

მონაწილეობას მიიღებს მოკლე დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივ

დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი: ვ. აბაშიძე, კ. მესხი.

ქართველნი მწერალნი

ახალთ დაიბეჭდა ფოტოტიპიური სურათი ქართველი მწერლებისა.

იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში თითოეული სურათი 75 კ.ᲐᲐ. შემოსავალი ფულის 10% გაღაიდება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებ-ს სასარგებლოთ.

აღრესი: თფილისი, როინოვის ფოტოგრაფია.

(5—2)

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

ᲒᲐᲛᲝᲦᲔᲐ 1899 ᲬᲔᲚᲘᲡᲐᲪ

ᲘᲛᲐᲕᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲘᲜᲐᲗ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲒᲐᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ,

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ,

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, 21.

„ᲥᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪ. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐᲨᲘ, ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲥᲐᲠᲕᲐᲡᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲐᲥᲝᲛᲘ, ᲮᲘᲓᲓᲔᲒᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ, ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, ᲥᲐᲦᲐᲜᲗᲐᲠᲝᲕᲘᲡ ᲥᲐᲠᲕᲐᲡᲚᲘᲡ ᲞᲘᲠ-ᲓᲐ-ᲞᲘᲠ.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:

ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

Открыта подписка на 1-99 г. на

два еженедѣльные иллюстрированные журнала для дѣтей и юношества

ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО

основанные **С. М. МАКАРОВОЮ** и издаваемые подъ редакціею **И. Х. ВЕССЕЛЯ**

XXIII-й годъ изданія.

„ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО“ въ 1899 году, по примѣру прежнихъ лѣтъ, будетъ выходить въ двухъ совершенно самостоятельныхъ изданіяхъ:

I. „ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО“

ЖУРНАЛЪ ДЛЯ ДѢТЕЙ МЛАДШАГО ВОЗРАСТА

(отъ 5 до 10 лѣтъ).

Подписчики на „ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО“ для дѣтей младшаго возраста въ теченіе 1889 года получатъ: 52 №№ богато иллюстрированнаго журнала „ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО“ и премію: большую олеографическую картину „ПОПРОСИ ХОРОШЕНЬКО“, а также „БИБЛІОТЕЧКУ ЗАДУШЕВНАГО СЛОВА“, въ составъ которой войдутъ четыре книжки съ раскрашенными и черными картинками въ оригинальномъ форматѣ: 1) „НА ДОСУГѢ“, 2) „ДѢТСКІЯ ПѢСЕНКИ“, 3) „МАЛЬЧИКЪ СЪ ПАЛЬЧИКЪ“ и 3) „ДѢВОЧКА СЪ БАШМАЧКАМИ“.—Въ каждомъ номерѣ журнала будетъ помѣщена какая-нибудь игра или занятіе для дѣтей, юмористич. рисунки и пр. Журналъ печатается крупнымъ шрифтомъ.

II. „ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО“

ЖУРНАЛЪ ДЛЯ ДѢТЕЙ СТАРШАГО ВОЗРАСТА

(отъ 10 до 14 лѣтъ).

Подписчики на „ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО“ для дѣтей старшаго возраста въ теченіе 1899 года получатъ: 52 №№ богато иллюстрированнаго журнала „ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО“ и премію: „КАЛЕНДАРЬ“ съ СПРАВОЧНИКОМЪ ДЛЯ УЧАЩИХСЯ“ въ перепл. на 1898—99 учебный годъ, а также 52 выпуска „БИБЛІОТЕКИ ЗНАМЕНИТЫХЪ ПИСАТЕЛЕЙ ДЛЯ ЮНОШЕСТВА“, въ составъ которой войдутъ слѣдующія сочиненія: 1) „ОТКРЫТІЕ АМЕРИКИ“, А. Е. Разина, съ илл., 2) „ИСТОРІЯ МАЛЕНЬКАГО ЧЕЛОВѢКА“, А. Додэ, съ иллюстр., 3) „ПОСЛѢДНІЙ ИЗЪ МОГИКАНЪ“, Ф. Купера, съ рис. Андріолли и 4) „ПЕРТСКАЯ КРАСАВИЦА“, Вальтеръ Скотта, съ иллюстр.

Кромѣ того, при каждомъ изданіи журнала „ЗАДУШЕВНАГО СЛОВА“ будутъ разсылаться особыя приложенія для родителей: „ПЕДАГОГИЧЕСКІЙ ЛИСТОКЪ“ и „ДѢТСКІЯ МОДЫ“.

Подписная цѣна каждому изданію „ЗАДУШЕВНАГО СЛОВА“ (по выбору подписчиковъ), со всѣми преміями и приложеніями, съ доставкою въ С.-Петербургѣ и съ пересылкою во всѣ мѣста Россійской имперіи—**6** рублей; за-границу—**8** рублей.

Допускается разсрочка платежа на три срока, ПО ДВА РУБЛЯ: 1) при подпискѣ, 2) къ 1-му февраля 1899 г. и 3) къ 1-му мая 1899 г.

ПОДПИСНОЙ ГОДЪ СЪ 1-ГО НОЯБРЯ 1899 ГОДА.

Подписка принимается въ книжныхъ магазинахъ ТОВАРИЩЕСТВА М. О. ВОЛЬФЪ.

С.-ПЕТЕРБУРГЪ, Гостиный дворъ, № 18. МОСКВА, Кузнецкій мостъ, № 12

(М.) 219 2—1

ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ 1899 ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲙᲚᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

ᲒᲐᲖᲔᲗ

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ ᲕᲣᲠᲜᲐᲚᲘ“

ᲬᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ 6 ᲛᲐᲜ., ᲜᲐᲮᲕᲔᲠᲘᲡ ᲬᲚᲘᲗ 4 ᲛᲐᲜ., ᲔᲠᲗᲘᲡ ᲗᲕᲘᲗ 60 ᲙᲞ.

ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲘᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲢᲔᲑ

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА

на 1899 годъ.

на ежедневную политич. и литературную газету.

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(шестнадцатый годъ изданія).

Въ 1899 г. „Новое Обозрѣніе“ будетъ выходить **въ Тифлисѣ**, какъ и въ прошлые годы, ежедневно, по программѣ большихъ столичныхъ газетъ.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

съ доставкой и пересылкой:

На 12 мѣсяцевъ 10 р. — к. „ 6 „ . . 6 „ — „ „ 3 „ . . 3 „ 50 „	На 1 мѣсяца. 1 р. 50 к.

Заграницу на годъ 17 р., на полгода 9 р., на три мѣсяца 5 р.

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа любого мѣсяца.

Для сельскихъ учителей льгота: подписная цѣна на годъ—7 р., полгода—4 р.

Для годовыхъ подписчиковъ какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.

Подписка и объявленія принимаются въ **Тифлисѣ**: въ конторѣ газеты, Барятинская ул. № 8.

Иногородные адресуютъ свои требованія: въ **Тифлисъ**, въ редакцію „Новаго Обозрѣнія“.

Подписка и объявленія принимаются: въ **Тифлисѣ**—въ конторѣ газеты, Барятинская ул. № 8; въ **Батумѣ**—въ книжномъ агенствѣ М. И. Николадзе; въ **Кутаисѣ**—въ книжн. магазинахъ Чиладзе и Бежанейшвили.

РОЗНИЧНАЯ ПРОДАЖА газ. „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“ въ **ПЕТЕРБУРГѢ** производится въ газетныхъ кіоскахъ: у Аничкина и Никол. мостовъ, на Казанской площади, у Гостинаго двора и въ газетномъ агенствѣ въ пассажѣ.

Открыта подписка на 1899 г.—Издается съ 1889 г.—Подписной годъ съ 1 ноября.

ПРИРОДА и ЛЮДИ

5 РУБ. НА ГОДЪ безъ доставки въ Спб.; въ Москвѣ (у Н. Печковской) 5 р. 50 к.; съ доставкой въ С. Петербургѣ и Москвѣ и перес. во всѣ гор. Россіи ШЕСТЬ руб. Допускается разсрочка: при подп. 2 р., къ 1-му марта 1 руб., къ 1-му мая 1 руб. и къ 1-му іюля остальныя.

Пробный № высылается за 7 к. марку

52 ИЛЛЮСТРИРОВАННЫХЪ №№. Каждый № въ размѣрѣ 2 листовъ большого формата (16 стран. плотной печати) заключаетъ въ себѣ разнообразное, интересное и полезное чтеніе. Девизъ журнала „Польза и развлеченіе“. *Редакція тщательно избѣгаетъ всего, что отзывается сухостью, всего, что можетъ наводить скуку на читателя.*

12 ИЛЛЮСТРИРОВ. ВЫПУСКОВЪ (болѣе 300 рисунковъ) **„ПОЛЕЗНОЙ БИБЛІОТЕКИ“** „ЗЕМЛЯ И ЕЯ НАРОДЫ“ составляющихъ ДВА ТОМА соч. гельвальда („Живописная Европа“, „Живописная Африка“, „Живописная Австралія съ Океаніей“ и „Полярныя страны“).

Съ первыхъ №№ въ журналѣ печатаются „Приключенія Новаго Робинзона“, Луи Ружемона, 30 лѣтъ прожившаго среди дикарей.

И, КРОМѢ ТОГО, **НОВОЕ** БЕЗПЛАТНОЕ ПРИЛОЖЕНІЕ

„Приключенія Новаго Робинзона“ въ короткое время разошлись заграницей въ количествѣ 800,000 экземпляровъ.

12 ТОМОВЪ СОЧИНЕНІЙ

ГУСТАВА ЭМАРА

Объемомъ болѣе 3,000 стран. большого формата убористой печати.

(М.) 218 2—1

Журналъ **ПРИРОДА и ЛЮДИ**, вступая въ десятый годъ изданія, будетъ по прежнему неуклонно идти къ своей цѣли—быть общедоступнымъ журналомъ **для семейнаго чтенія**, равно **интереснымъ для всѣхъ и каждаго**. Постоянно возростающее число подписчиковъ указываетъ на потребность такого журнала въ нашемъ обществѣ и на успѣхъ его. Издатель П. Сойкинъ. Редакторъ Ф. Груздевъ.

Подписка принимается въ главной конторѣ: С.-Петербургъ, Стремянная, собств. домъ, № 12.

დამდეგ 1899 წლისთვის
დაწყებულია ხელის-მოწერა

აპაპის კრებულზე.

ფასი წლიურათ გაუგზავნელათ 6 მანეთი და გაგზავნით 7 მ. ნახევარი წლით 4 მან. და ცალკე ნომერი 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება: ყვირილაში კრებულის რედაქციაში და თფილისში „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„კვალი“

გამოვა 1899 წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე.

იმავე პროგრამით და იმავე თანამშრომლებით, როგორც 1898 წელს.

გაზეთი წლიურათ ღირს გაუგზავნელათ 7 მანეთათ, ხოლო გაგზავნით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუგზავნელათ 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთ. სამი თვით გაუგზავნელათ 2 მანეთ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. თითო ნომერი სამ შაურათ. ხელის მოწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая ул. д. зем. банка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტელერიის ქუჩა № 5, კორპუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ редакція „КВАЛИ“.

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეათე

გამოვა 1899 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს—4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ.

ხელისმოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარ წლით.

ხელისმოწერა მიიღება:

1) თფილისში—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Груз. Двор. № 101), და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა

ჯეჯილის გამოცემა

ზანგი და თეთრი

შვიდი ცინკოგრაფიული ნახატით.

ფასი 15 კაპ., სოფლელ სამუშაოთ, ვარაყიან ყდაში, ყიდულება 1 მან. იყიდება „წერა-კითხვის საზ.“ წიგნთ-საცავში და „ჯეჯილის“ რედაქციაში.

საბავშო წიგნი

„პატარა ლორდი“

ჯეჯილის რედაქციის გამოცემა

თარ. ელ. წერეთლისა

ფასი 30 კაპ.

იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში და თვით ჯეჯილის რედაქციაში.

Доз. ценз. Тифлисъ, 12 Декабря 1898 г. Тип. М. Д. Ротиніанца—სტამბა. მ. დ. როტინიანცისა Гол. пр. д.. № 41.